პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მეზღ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე 3 სართული

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში ხელნაწერები მიიღება ყოველდღე [illegible] დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადები— 30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. ხანგრძლივი განცხადებები 1 მილ. მ.

№ 21 | სამშაბათი, 30 იანვარი 1923 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 10 000 მან. | № 21

დღიური

პარიზის წრეებში ძლიერდება აზრი ბერლინის დაპყრობის მოულოდნელობის შესახებ

საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო პარიზში საპროტესტო მიტინგი ოკუპაციის წინააღმდეგ.

რურის ოლქს [illegible] გერმანიიდან [illegible] მოხერხდა.

ოლქში იმართება დემონსტრაციები.

ლოზანის კონფერენციაზე მდგომარეობა კრიტიკულია.

ხრუტეების კომისიაში [illegible] დელეგაცია.

[illegible]

მიიღება ხელისმოწერა გაზეთებზე 1923 წლის 1 თებერვლისთვის

გაზეთი	რომელ ენაზე	ხელისმოწერის ფასი ერთი ეგზემპლიარი თვეში	
		[illegible]	[illegible]
„კომუნისტი"	ქართული	280.000	100 000
„პრავდა გრუზიი"	რუსული	280.000	100 000
„კარმირ ასტղ"	სომხური	230.000	100.000

შეღავათიანი ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ მუშათაგან იმ პირობით, თუ გაზეთების კანტორაში წარმოდგენილი იქნება ხელისმომწერთა სიპირადო სიები, რომელიც შემოწმებული უნდა იქნეს ადგილკომის მიერ. დაწესებულებანი, ქარხკომები, ადგილკომები დაკლებულ ფასებით არ სარგებლობენ. პარტ. და წი-[illegible]ებანი, იმ პირობით თუ ხელისმოწერა გაიღება უშუალოდ მთავარ კანტორაში, სარგებლობენ დაკლებული ფასებით.

ცალკე ნომრის ფასი

1923 წ. 1 იანვრიდან იქნება 10 000 მანეთი ყველგან.

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ და მხოლოდ საქ. პარტიული ამხანაგთა პრესის ცენტრალურ კანტორაში (გაზეთის ტრესტი) რუსთაველის პრ. 24. დილის 9—2 საათამდე.

დღეს, 30 იანვარს სახელმწიფო ოპერის თეატრში მოხდება
ქ. ტფილისის მუშათა, წითელ არმიელთა და გლეხთა დეპუტატების მე 3 საბჭოს

საზეიმო გახსნა

საბჭოს სხდომაზე მოწვეულნი არიან ყველა [illegible] და [illegible], ადგილობრივი კომიტეტები და პროფკავშირთა გამგეობები.

4 საათზე დანიშნულია ფრაქციის, ხოლო 6 საათზე პლენუმის სხდომა

სხდომის შემდეგ წარმოდგენა-კონცერტი

ტფილისის კომიტეტის [illegible] 3 [illegible]

მოწოდება
პარტიის ისტორიის კომისიისა

ამხანაგებო!

პარტიის ისტორიის შესასწავლად და რევოლუციონური წარსულის მასალათა შესაკრებათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან დაარსდა პარტიის ისტორიის კომისია. დასახული მიზნის [illegible] უშვებს ყოველ თვიურ ჟურნალის გამოცემას „რევოლუციის მატიანე"-ს სახელწოდებით (ქართულად და რუსულად). „რევოლუციის მატიანეში" ადგილი დაეთმობა ის მასალებს, რომლებიც მომთხრობილი და სწორი [illegible] ხელი იქნება განვლილი ხანების რევოლუციონურ მოძრაობისა და ღირსშესანიშნავ რევოლუციონურ მომენტებისა. „რევოლუციის მატიანე" უნდა შესძლოს საქართველოს მდიდარი რევოლუციონური წარსულის ყოველ მხრივ დასურათება და [illegible] ენაზე, ყველა მაგალითებით გადმოშლა; „რევოლუციის მატიანემ" უნდა მისცეს ახალი ქვეყნის საშენებლად ჩაბმულ მშრომელ ხალხს რევოლუციისა და მისი ხელმძღვანელი პარტიის გაშუქებული ისტორია.

საქართველო, პეტერბურგ-მოსკოვის შემდეგ წარსულ რევოლუციების ისტორიებიდან რუსეთში რევოლუციის ერთ-ერთ აკვნად ითვლება: თბილისი, ბათომი, გურია, ქიათურა, ქუთაისი მეტად მდიდარია მშრომელი ხალხის რევოლუციონური გამოსვლებით, რევოლუციით წარმოშობილ თვალსაჩინო გმირებით და მასწავლებელ-ბელადებით. ამ ბრძოლაში მეფის [illegible] დროს არა ერთი და ასეული ამხანაგები დაეცა ძირს განგმირული.

საქართველოში ბრძოლა მონარქიულ-ბურჟუაზიულ ქვეყნის წინააღმდეგ დაიწყო 80-იან წლებიდან.

მშრომელმა ხალხმა უნდა იცოდეს, თუ რა ამოძრავებდა, რა ამოქმედებდა [illegible] ბრძოლის და პასუხის-მგებლობის იმ მძიმე პირობებში რევოლუციის ძველ გვარდიას.

ამიტომ პარტიის ისტორიის კომისია მოუწოდებს რევოლუციის ყველა [illegible] მოგვაწოდონ ყოველგვარი წერილობითი საბუთები რევოლუციონურ მუშაობის შესახებ; პირადი მიწერ-მოწერა, [illegible] გამოცემები და ფოტოგრაფიები რევოლუციონერებისა; აგრეთვე საკუთარი ავტო-ბიოგრაფიები.

სასურველია მოგვაწოდონ დახოცილ რევოლუციონერების ფოტოგრაფიული სურათები მოკლე ბიოგრაფიით.

პარტიის ისტორიის კომისია.

„რევოლუციის მატიანე"-ს რედაქცია იმყოფება საქ. კომ. პარტიის ცეკას შენობაში. ყველა მასალა უნდა გადაიგზავნოს იქვე ს. თალაკვაძის სახელზე.

სალამი ახალ საბჭოს

დამთავრდა თბილისის ქალაქის და მაზრის საბჭოს არჩევნები. წინასწარი ცნობების მიხედვით, სულ არჩეულია 673 დეპუტატი; მათგან: კომუნისტი —530, უპარტიო—127, მემარცხენე ფედერალისტი 16.

თვით არჩევნები დიდი სიცხოველით ჩატარდა.

ჩვენში, საბჭოთა რესპუბლიკაში, სადაც მშრომელი მასსა უშუალო მონაწილეობას იღებს ცხოვრების აღმშენებლობაში, ხშირად ხდება სხვა და სხვა გვარი კრებები, თათბირები, ყრილობები, არჩევნები, პოლიტიკური კამპანიები. მაგრამ ამ გარემოებას ოდნავადაც არ გაუნელებია მუშათ კლასის [illegible]. პირიქით, ამან უფრო გაღრმავა მისი კლასობრივ-პოლიტიკური შეგნება, მას [illegible] იყოს აქტიური შემოქმედი ახალი ცხოვრების და თავისი ბედის [illegible] გამომჭედი. ეხლა განვლილ არჩევნებშიც თბილისის პროლეტარიატს არ გამოუჩენია ინდიფერენტიზმი [illegible] 80—90 პროც. [illegible] ხალხით გამოცხადდა არჩევნებზე და პირნათლად შეასრულა თავისი მოქალაქეობრივი ვალდებულება.

აქ ვერ გასჭრა მენშევიკების ცბიერობამ, რომელნიც მუშებს ბოიკოტისაკენ მოუწოდებდნენ. მენშევიკები იმ თავითვე ადგანან ამ გზას: [illegible] პროლეტარიატის [illegible] არჩევნებში [illegible], რომ მოუხსნონ თავიანთი [illegible], რათა მან ბოიკოტის გზით გამოაშკარავოს თავისი [illegible] და უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. მაგრამ როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც მათი [illegible] პოლიტიკა სრული [illegible] დამთავრდა. მენშევიკთა [illegible], რომელსაც მხოლოდ აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, [illegible] ერთი [illegible] დიდი და მდიდარი.

დღეს, ამის შემდეგაც იძახონ მათ უსირცხვილოთ, რომ მათ თითქო ზურგს უჭერს საქართველოს მთელი ხალხი. ეხლა ყველამ იცის ფასი ამ ნაცარ-ქექიული ტრაბახის, იციან იმათაც კი, ვის მოტყუებასაც [illegible] საზღვარ-გარეთ.

მაშ ვის უჭერს მხარს ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასსა, კერძოდ ამ შემთხვევაში თბილისის პროლეტარიატი? ამაზე მჭერმეტყველურ პასუხს იძლევა არჩევნების ზემოდ მოყვანილი შედეგები;

დიდი ქალაქის პროლეტარიატი, რომელიც გამომხატველია აგრეთვე მთელი რესპუბლიკის მშრომელი ხალხის ნებისყოფის და სურვილების, კვლავ გამოდის, როგორც აქტიური მომხრე ერთად ერთი რევოლუციონური პარტიის, კომუნისტური პარტიის. იგი სავსებით იზიარებს ჩვენი პარტიის პოლიტიკას და სცნობს მის ხელმძღვანელობას.

ჩვენი პარტია ჩატარებულ არჩევნებში გამოვიდა, სხვათა შორის, ამიერ-კავკასიის ფედერაციის და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის განმტკიცების ლოზუნგით,

კომუნისტური პარტიისათვის ერთსულოვანი ხმობის გამოცხადებით თბილისის პროლეტარიატმა ეს ლოზუნგი გაიზიარა, მან კვლავ დაადასტურა მშრომელთა ერთიანი ფრონტის აუცილებლობა. განსაკუთრებით ძვირფასია ეს ეხლა, როცა ევროპა ისევე გაჟღენთილია სისხლის სუნით, როცა [illegible] ჩვენი მშრომელი ხალხი ამ კრიტიკულ მომენტში არის ყველა რევოლუციონურ და [illegible] წინააღმდეგ მებრძოლ რაზმებთან ერთად, და ის ამხ. ზინოვიევის სიტყვით რომ ვთქვათ, პატარა გირაა, რომელსაც შეუძლია გადახაროს [illegible] შრომასა და კაპიტალ შორის [illegible].

ჩვენი მუშათა კლასი, კომუნისტურ პარტიასთან ერთად დგას რა საერთაშორისო რევოლუციის ნიადაგზე, მასთვის მებრძოლთა პირველ რიგებში, ამავე დროს არ ივიწყებს თავის შინაურ, [illegible] ამოცანებს, ის ამტკიცებს თავის ბატონობას საკუთარ ტერიტორიაზე ყოველდღიური [illegible] მუშაობით, [illegible] და კულტურულ ფრონტზე.

კომუნისტებმა დაამტკიცეს, რომ ისინი არა მარტო თავდადებული რევოლუციონერები არიან, არამედ მათ [illegible] დიდი უნარი [illegible] მუშაობაშიც. ამას ნათლად მოწმობს, სხვათა შორის, თბილისის საბჭოს განვლილი მოღვაწეობა. ქალაქის პროლეტარიატმა ისევ მათ ჩააბარა ზრუნვა მეურნეობის შემდეგი ალორძინება—განვითარებაზე, მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

თბილისის ახალი საბჭო, ზურგგამაგრებული ამომრჩეველ მასსის ნდობით და დახმარებით, შესძლებს ღირსეულად შეასრულოს რევოლუციის ფხიზელი დარაჯის, პროლეტარიატის ინტერესების დამცველის და რესპუბლიკის დედაქალაქის მეურნეობის ამაღორძინებლის საპატიო როლი.

დღეს იხსნება ახალი საბჭოს პირველი სხდომა. ჩვენ ვესალმებით მას და ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

„ბერლინზე!"

მოსკოვი, 29 იანვარი (რადიო). „გაზეთ „მორნინგ პოსტ"-ის გადმოცემით, პარიზში ფეხს იკიდებს აზრი დიდი სამხედრო ძალების გადასროლის შესახებ პირდაპირ ბერლინზე. დედა-ქალაქის დაკავების შემდეგ ფრანგები შესძლებენ უკარნახონ გერმანელებს პირობები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სარეპარაციო ვალდებულებათა შესრულებას. ამასთანავე იძულებულ გახდიან გერმანიას მოახდინოს მან ფინანსების რეორგანიზაცია, რომ ამით ფრანგებმა თავი იხსნან ვერსალის ხელშეკრულების იმ უსამართლო პირობებისაგან, რომლებიც თავზე მოახვია ლლოიდ-ჯორჯმა საფრანგეთს".

ჩვენ გაზეთში უკვე აღნიშნული იყო, რომ სამხედრო მიზანი, რომელსაც ის ხავს საფრანგეთის მილიტარიზმი გერმანიის მიმართ, არ განისაზღვრება ლოკალური ოპერაციებით, თუ გინდ ისეთი მნიშვნელობის ოპერაციებითაც, როგორიც არის რურის. სხვა კითხვაა მოახერხებს თუ არა მარშალი ფოში გაატაროს დღის ცხოვრებაში უკვე წარსული ომის დროინდელი თავისი ზრახვები—ეს დამოკიდებულია ბევრი გარემოებისაგან, რომელზედაც გვქონდა უკვე ლაპარაკი. მაგრამ ექვის შეტანა თვით ასეთ გეგმაში შეუძლებელია, და ამ მიზნის მაჩვენებელი ნიშნები უკვე არის თუ გინდ ზემომოყვანილი „მორნინგ პოსტ"-ის ცნობაშიც.

თვით საფრანგეთის დღევანდელი ბატონ-პატრონები არ მალავენ იმას, რომ გერმანია ისეთიც, როგორიც არის დღეს, ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ, ე. ი. გერმანია, მიწასთან გასწორებული, გაძარცული და იარაღ აყრილი მაინც წარმოადგენს საშიშროებას საფრანგეთისათვის. რომ რევანშის იდეას ღრმად აქვს ფესვები გადგმული მთელ ცენტრალურ ევროპაში, გამარჯვებულთა [illegible] გამო, ეს ფაქტია. გასაგები მიზეზების გამო, რასაკვირველია, ეს [illegible] ვერ ჰპოულობს [illegible] ოფიციალურ გამოხატულებას აშკარად, მაგრამ [illegible] შეუძლებელია მთელი ახალი თაობა [illegible] ამ იდეაზე [illegible] კლასები გერმანიაში [illegible] სწორეთ ამ აზრით [illegible] კარგს არას უქადის მომავალში საფრანგეთს, თუ მანამდი შეუცვლელი დარჩა სოციალ-პოლიტიკური რეჟიმი ევროპის, [illegible] მეთაურობით [illegible] საფრანგეთის [illegible] [illegible], რაც ძალა და ღონე შესწევს, უნდა [illegible] გერმანია. [illegible] შესაძლებელია [illegible] მთლიანათ [illegible] ჩაგდებით ამ მიზნის [illegible] გერმანიის განიარაღების შემდეგ, საფრანგეთი, მოახერხებს [illegible] ამის მარტო თავისი ძალებით (რაც შეუძლებელია) თუ სხვისი დახმარებით—ამ შემთხვევაში, ამ ცალკე კითხვის გარჩევას დრო, ამის მნიშვნელობა არა აქვს. ასეთ მნიშვნელობა [illegible] „[illegible]" გერმანიაზე [illegible]

[illegible] პოლიტიკაა, [illegible] სხვა საკითხებიც დღევანდელი ევროპის სინამდვილის. და პირველ რიგში ჩვენ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, როგორი იქნება მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპის. რადგან იმპერიალისტური რეაქცია მიზნათ ისახავს რევოლუციის შემუსვრას.

ამ ზრით ფიქრი მართებთ იმ ქვეყნებს, რომლებიც შეადგენენ დღეს კერას ამ რევოლუციისას.

ჩვენ შეცდომაში ვერ შეგვიყვანს ის გარემოება, რომ მობილიზაცია მთელ რიგ პატარა ქვეყნებში [illegible] ლოკალური ამბების [illegible] მობილიზაცია, რადგან [illegible] კონფლიქტი [illegible] [illegible] რომელიც დაიკავა [illegible] [illegible] საერთაშორისო [illegible] შესახებ შრომისა და კაპიტალის შორის ბრძოლის შესახებ.

ამნაირად განზრახული „მარში ბერლინზე" [illegible] გერმანია—საფრანგეთის კონფლიქტს

რაღა თქმა უნდა, ძნელია იმის თქმა, როგორი იქნება ამბების მსვლელობა [illegible] საფრანგეთის მიერ დაწყებული ავანტიურა. მაგრამ თავის [illegible] ლოზუნგი „შეტევა ბერლინზე" [illegible] რეალური აზრის [illegible] ლოზუნგზე:

„[illegible] კაპიტალის [illegible] სიმაგრეებზე!"

Observer

პრესა

გაფრთხილება პოლონეთს!

რურის ამბებმა დაჩრდილა ყველა სხვა კითხვები საერთაშორისო პოლიტიკის. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი მიმართულებით წარმოებს განვითარება დიდი ამბების, რომელიც დაიწყო გერმანიის ახალი ტერიტორიის ოკუპაციით, ეს საკითხი, ბუნებრივია, იპყრობს საყოველთაო ყურადღებას.

დღეს ყველა იზიარებს იმ აზრს, რომ მოსალოდნელია ამ ამბებმა დასაწყისი მისცეს ახალ საერთაშორისო ომს. ეს შეიძლება მოხდეს თუ საფრანგეთს მხარი დაუჭირა სხვა სახელმწიფოებმა, რომლებიც მოსურნენი არიან წაესიონ გერმანიას. მოსკოვის პრავდა (№ 14) პატარა, მაგრამ ფრიად დამახასიათებელ და დიდ მნიშვნელოვან თავის მეთაურ წერილში ზემოთ მოყვანილი სათაურით, ეხება ამ საკითხს და სპეციალურათ იმ როლს, რომელიც შეუძლია ითამაშოს პოლონეთმა.

„... ფრიად საჭიროა თვალყური ვადევნოთ იმას, რაც ხდება პოლონეთში. პოლონეთი კარგა ხანია იწევა გერმანიის „ცუდათ მდებარე" ნაწილებისაკენ. მომენტი ისეთია, რომ შლიახტების რესპუბლიკას შეუძლია მოაგროვოს ჯარი და დაარტყას გერმანიას. ეს კი აუცილებლად გამოიწვევდა ისეთ შედეგებს, რომელთა აწონ-დაწონვა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ჩეხო-სლოვაკიაც „იწყებდა". საბჭოთა რუსეთი დასდგებოდა საფრთხის პირისპირ ანტანტის ავაზაკებისა და მათთან დაკავშირებული პოლონეთის მხრივ. ამნაირათ მთელი ევროპა კვლავ შეიძლება შეიქნეს სამხედრო ბანაკათ".

ეხება რა იმ საშინელებას, რომელიც აუცილებელი იქნება თუ დიდი ომი გაჩაღდება, პრავდა აყენებს საკითხს ასეთი ომის შესაძლებლობის შესახებ „სახერხებელია თუ არა კონფლიქტის შეჩერება მის დღევანდელ საზღვრებში, თუ ეს კონფლიქტი საერთო ევროპიული ან, შეიძლება, კიდევ უფრო დიდ კატასტროფათ გადაიქცევა, თავისი შინაური ლოგიკის განვითარებით?"

„ეს დამოკიდებულია—უპასუხებს „პრავდა"—ბევრი მიზეზებისაგან და მათ შორის იმისაგანაც, თუ როგორ გზას დაადგება პოლონეთი. თუ მისი მმართველი ბურჟუაზია შეინარჩუნებს მშვიდობიანობის პოლიტიკას, შეუდგება შინაური აწეწილ-დაწეწილი მდგომარეობის მოგვარებას, ამ შემთხვევაში ბევრი შანსია იმის სასარგებლოთ, რომ კონფლიქტი განვითარდება უფრო რბილ ფორმებში! მაგრამ თუ ის წაჰბაძავს მის პატრონს, საფრანგეთს, და მიარეკს თავის ჯარს გერმანიის საზღვრებს, შეიჭრება გასაცარცვავათ განწირულ ქვეყანაში, მაშინ აუცილებელი იქნება ქაოს-ქუხილი ევროპაში. ამ ქაქ-ქუხილში მოემსხვრევა ფრთები პოლონეთის თეთრ მტაცებელ არწივსაც. ბოლოს და ბოლოს გამარჯვებული გამოვა აქედან არა ეს თუ ის ბურჟუაზია, არამედ პროლეტარიატი. მაგრამ ეს მოხდება საშინელი არევ-დარევის შემდეგ, რომელიც მოჰყვება საფრანგეთ-პოლონეთის ავანტიურას.

პოლონეთის მთავრობას აწევს ახლა უმძიმესი პასუხისმგებლობა მთელი კაცობრიობის წინაშე. ჩვენ ამას ვხედავთ. ჩვენ ეს ვიცით. ამის შესახებ ჩვენ ვაფრთხილებთ ყველას. ჩვენ მოვაგონებთ ამაზე ვისაც ეს შეეხება".

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

ფრანგების გეგმა.

მოსკოვი. 29 იანვ. „მორნინგ პოსტის" ცნობით, პარიზში ფეხს იკიდებს ის აზრი, რომ აუცილებელია დიდი სამხედრო ძალების მიმართვა პირდაპირ ბერლინისაკენ. გერმანიის სატახტო ქალაქის დაკავებით, ფრანგებს შეეძლებათ უკარნახონ გერმანიას ისეთი პირობები, რომლებიც [illegible] რეპარაციის გადახდას და აიძულებს გერმანიას ფინანსების რეორგანიზაციას, რითაც განთავისუფლდება საფრანგეთი ვერსალის ხელშეკრულების უსამართლო პირობებისაგან, რომელიც მას თავზე მოახვია ლოიდ ჯორჯმა.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესი ესსენში.

მოსკოვი. 29 იანვ. 24 იანვარს ესსენში გაიხსნა რურის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების კონგრესი, რომელსაც ოლქის [illegible] ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დელეგაციები და კომუნისტურ ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. კონგრესზე მონაწილეობას ღებულობდა 180 წარმოების 246 ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი.

კონგრესის მიერ მიღებული მოთხოვნილებებია: [illegible] საოკუპაციო ჯარების გაყვანა, მუშათა მთავრობის შექმნა და ამავე დროს საბჭოთა რუსეთთან კავშირის დადება, მუშების შეიარაღება, 6 საათის მუშა დღე [illegible] ფრანგეთის პროლეტარიატის [illegible].

გამოტანილია რეზოლუცია, რომელშიაც [illegible] და წარმოებებთან [illegible].

შეტაკებები.

მოსკოვი. 29 იანვ. [illegible] შეტაკებები [illegible] რამოდენიმე კაცი.

ხაზაჟოს მოხელეები.

მოსკოვი. 29 იანვ. [illegible] 250 მ [illegible].

პოლონეთის დახმარება.

მოსკოვი. 29 იანვ. [illegible] პოლონეთიდან, [illegible] რურის ოლქში.

რურის ოლქის [illegible].

მოსკოვი. 29 იანვ. რურის [illegible] 3,7 0 საფრანგეთის რკინიგზის [illegible].

საფრანგეთის ჯარების კონცენტრაცია.

მოსკოვი. 29 იანვ. ფრანგები ჯარების [illegible] რურის ოლქის საზღვრებთან, [illegible] გერმანიის და [illegible].

[illegible] ჯარები.

მოსკოვი. 29 იანვ. [illegible] ტანკებით, და [illegible], აგრეთვე ჯავშნიანი ავტომობილებით.

[illegible] მაროკოელების [illegible].

ხაზინაში ხელფასის ხარჯთაღრიცხვა მუშებისათვის.

მოსკოვი. 29 იანვ. რურის [illegible] მუშებთან მოლაპარაკებამ [illegible] სამუშაო ხელფასის გადიდება 77 პროცენტით, ამის გამო [illegible] ნახშირის ფასი გადიდდა 100 პროცენტით.

ამერიკის პოზიცია.

მოსკოვი. 29 იანვ. [illegible] შეერთებულ შტატების მთავრობამ [illegible] რურის ოლქის საკითხში მონაწილეობის მიღებაზე.

ფრანგების რეპრესიები.

მოსკოვი. 29 იანვ. ტრირში გაიმართა [illegible] საპროტესტო დემონსტრაციები რურის ოკუპაციის წინააღმდეგ. ფრანგებმა მოახდინეს [illegible] ჯარების მობილიზაცია [illegible] დემონსტრანტების [illegible] გამოაცხადეს საალყო წესები.

ხარჯები ოკუპაციისათვის.

მოსკოვი. 29 იანვ. საფრანგეთის მთავრობამ [illegible] კრედიტი 45 მილ. ფრანკის რაოდენობით რურის ოკუპაციისათვის [illegible].

გერმანიის რკინისგზელები.

მოსკოვი 29 იანვ. [illegible] ცნობებით, გერმანიის რკინისგზელებმა გადაწყვიტეს რკინის გზის [illegible] და [illegible] რკინის გზის შტოებს.

ინგლისის პოზიცია.

მოსკოვი. 29 იანვ. 29 იანვრისათვის [illegible] დანიშნული ინგლისის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნება საკითხი რურის ოლქიდან ბრიტანეთის ჯარების ევაკუაციის შესახებ.

„მორნინგ პოსტ"-ის აზრით, ბრიტანეთის ჯარების გაყვანა [illegible] ანტანტის [illegible].

ინგლისის ჯარების გაყვანა გადადებულია.

ლონდონი 28 იანვ. ლონდონიდან იუწყებიან, რომ 26 იანვარს [illegible] მინისტრთა საბჭომ [illegible] [illegible] ინგლისის ჯარების გაყვანა დაკავებულ ოლქიდან გადადებულ იქნა განუსაზღვრელ დრომდე.

მდგომარეობა სერიოზულია.

ლონდონი, 28 იანვ. ამერიკის ჯარების [illegible] გენ. ალლენმა განაცხადა, რომ რურში მდგომარეობა ძალიან სერიოზულია. [illegible] შეუძლებელი [illegible].

საერთო გაფიცვების წინაშე.

ლონდონი, 28 იანვ. მუშათა წრეებში გავრცელდა, [illegible] ნახშირის [illegible], გამოცხადდება საერთო გაფიცვები [illegible] რურის ოლქში, გახშირდა მუშათა და [illegible] დაპატიმრება და [illegible]. დიუსელდორფიდან და [illegible].

რურის ჩამოჭრა არ მოხერხდა.

ლონდონი. 29 იანვ. [illegible] რურის ოლქის [illegible] 26 იანვარს [illegible] 27 იანვარს დილით [illegible] გერმანიაში.

იტალია და ამ რეპ-ს [illegible].

ლონდონი. 28 იანვარი. რომიდან [illegible], რომ [illegible] მინისტრთა საბჭომ დაადგინა [illegible] რურის [illegible].

[illegible].

ლონდონი. 28 იანვ. [illegible] იმ გარემოების, რომ რურის ოლქის ოკუპაცია შეიძლება დაუსრულებლად [illegible], ფიქრობენ, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო, [illegible] საკითხის [illegible].

[illegible] კომისია [illegible].

ლონდონი. 28 იანვ. [illegible] კომისიის [illegible], რომ კომისიის [illegible] მდგომარეობაში ჩავარდა, და [illegible] საფრანგეთის მთავრობის [illegible] ცხოვრებაში [illegible] საკონტრიბუციო კომისიამ [illegible].

რურის ოკუპაციის გამო დემონსტრაციები.

ლონდონი. სატყუო უწყების მოსვლა [illegible] დაპატიმრების საწინააღმდეგო დემონსტრაციების დროს დიუსელდორფში, დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყვანილ იქნა ბელგიელი ჯარები, რომელთაც იხმარეს ცივი იარაღი. დიდი რაოდენობა ხმლითაა დაჭრილი დემონსტრანტებისა.

პუანკარე შეურაცხყოფილია

ლონდონი. 28 იანვ. ქ. მაინცში და დაკავებულ ოლქებში გამოტანილ [illegible] ნაჩვენების გამო გერმანიის პროტესტის საპასუხოთ პუანკარემ განაცხადა, რომ იგი უარყოფს იმ ნოტას ისე როგორც ყველა მსგავსი ხასიათის ნოტებს, რომლებშიაც შეიძლება [illegible] ადგილი ექნეს, რასაც მოყვება გერმანიის საპასუხო განცხადება, რომ [illegible] გერმანიის პროტესტი გამოცხადდეს საფრანგეთის მთავრობის მიერ [illegible] და ძალადობის შესახებ.

საფრანგეთის კომპარტიის საპროტესტო მიტინგი.

მოსკოვი, 29 იანვ. საფრანგეთის კომპარტიამ და შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ პარიზში და მის მიდამოებში მოაწყვეს 80 თუ მასიური საპროტესტო მიტინგი რურის ოკუპაციის და კომუნისტების დევნის წინააღმდეგ.

[illegible] საფრანგეთის [illegible] მუშათა ორგანიზაციების განცხადებები და პროტესტები.

ნახშირის შეტანა.

მოსკოვი. 29 იანვ. საფრანგეთ-ბელგიის სამხედრო საბჭომ დაადგინა [illegible] გერმანიაში ნახშირის შეტანა და შეიმუშავა ზომები მთელი რიგი ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

ნახშირი გერმანიისათვის.

პარიზი 29 იანვ. ნახშირის საერთო რაოდენობა, რომელიც შეძენილია ინგლისში გამბურგ, ბრემენსა და ემდენში გასაგზავნად უდრის 200.000 ტონას.

ლონდონი. 20 იანვ. [illegible] წყაროები იუწყებიან, რომ გერმანიამ შეიძინა ინგლისში 250 000 ტონა ნახშირი 460 00 გირ. სტერლინგის სადირ [illegible] 2 [illegible] ნახშირის გადასაგზავნად.

რურის ოლქი

რურის და ოკუპაციას ქვეშ რეინის ოლქების მცხოვრებლები შეადგენენ 9 ნახ. მილიონ კაცს, ანუ მთელი გერმანიის მცხოვრებლების 16 პროცენტს. გერმანიას იმედი ჰქონდა, რომ მიმდინარე წელში მიიღებდა 115 მილიონ ტონნა ნახშირს; აქედან 100 მილიონი, ანუ 93 პროცენტი უნდა ამოეღოთ რურის და რეინის ოლქებში. წარსულ წელს ამ ოლქებმა მისცა გერმანიას 3 მილიონი ტონნა რკინა, რაც შეადგენს საერთო ამოღების 41 3 პროცენტს. და 8 2 მილიონი ტონნა (ანუ 74 პროც.) თუჯი; 9[illegible],000 ტონნა (ანუ 44 3 პროც.) [illegible] მადანი; 43,000 ტონნა (ანუ 40 პროც.) კალა.

ამ ოლქების რკინის გზებით გადაჰქონდათ გერმანიის მთელი რკინის გზის ქსელის ტვირთების 70 პროცენტი.

შემდეგ. გერმანიის 6 967 970 მუშიდან, 1921 წ. ცნობების მიხედვით, 1,627 398 ანუ 23 3 პროცენტი ცხოვრობდა ამ ოლქებში.

ამას გარდა, ამ ოლქებში მოიპოვება გერმანიის ქიმიურ ქარხნების დიდი რაოდენობა, რომლებიც დიდ როლს თამაშობდა გერმანიის წარმოებაში.

ყველა ამ ცნობების მნიშვნელობა ღრმავდება, თუ სახეში მივიღებთ, რომ გერმანიისაგან ზემო სილეზიის ჩამოშორებით, სადაც ის ღებულობდა ნახშირს, აგრეთვე გერმანიის სარეპარაციო გადასახადების გამო, გერმანია ჯერ კიდევ რურის ოლქის ოკუპაციამდე, განიცდიდა ნახშირის დიდ კრიზისს.

პროტესტები ოკუპაციის წინააღმდეგ

პროტესტი რუსეთში.

მოსკოვი 29 იანვ. ცარიცინის მეტალურგ. ქარხნის „წითელი ოქტომბერი"-ს მუშების კრებამ შეუერთა თავისი ხმა მოსკოვის მუშების პროტესტს საფრანგეთის იმპერიალისტების [illegible] რურის ოლქში შესვლის წინააღმდეგ.

— რუსის [illegible] [illegible] ქალაქში და სოფლებში იწყობა საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები. [illegible] რეზოლუციები, რომელშიაც [illegible] არიან 3 რესპუბლიკის დაცვისათვის.

[illegible] საპროტესტო დემონსტრაცია რურის ოკუპაციის წინააღმდეგ.

კომუნისტების დევნა საფრანგეთში.

მოსკოვი 29 იანვ. პარიზში დაპატიმრებულია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი პაკერო.

ინგლისის კავშირების პროტესტი.

მოსკოვი. 29 იანვ. [illegible] მემუშავეთა კავშირის [illegible] 3 ოლქიდან გამოსტყვა რურის ოკუპაციის წინააღმდეგ. და მოითხოვა მთავრობისაგან [illegible] საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც მივყავართ ახალი ევროპიული ომისაკენ და ეკონომიური დანგრევისაკენ.

ინგლისის მემანქანეების და მექანიკოსების [illegible] კომიტეტი მოითხოვს მთავრობისაგან ბრიტანეთის ჯარის მოხსნას რურის ოლქიდან.

ბრიტანეთის კომპარტია.

მოსკოვი 29 იანვარი, ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პროლეტარიატს ვერსალის ხელშეკრულების გაუქმების დაწყებისაკენ, საოკუპაციო ტერიტორიის დაუყოვნებლივ [illegible] და ევროპის [illegible] მუშურ-გლეხურ მთავრობების [illegible] საფუძველზე.

[illegible] მუშები.

მოსკოვი 29 იანვ. [illegible] პროლეტარიატის [illegible], ინგლისის ტრედუნიონების [illegible] და მუშათა პარტიის [illegible], რომელშიაც ნათქვამია, რომ [illegible] პროლეტარიატი [illegible] რურის მუშებს [illegible] და [illegible], რომელიც გამოწვეულია საფრანგეთის [illegible] და [illegible] პოლიტიკურად [illegible] დეკლარაცია [illegible] მუშათა [illegible] სამხედრო [illegible] საფრთხის.

გერმანიის ამბები

მოლაპარაკება საფრანგეთთან

მოსკოვი 29 იანვარი. გერმანიის [illegible] საფრანგეთთან მოლაპარაკების გამართვის შესახებ.

მთავრობის ცნობის მიხედვით, გერმანია მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება იმ პირობით, თუ განთავისუფლებული იქნება რურის ოლქი.

სარეპარაციო კომისიაში.

მოსკოვი 29 იანვარი. სარეპარაციო კომისიამ 26 იანვარს სხდომაზე უარყო გერმანიის თხოვნა მორატორიუმის შესახებ. ამ [illegible] კომისიის გადაწყვეტილებით გერმანია ვალდებულია გადაიხადოს სარეპარაციო ვალის სახით 6 600 000 გირ. სტერლინგი. ინგლისის წარმომადგენელმა კომისიაში ხმის მიცემის დროს თავი შეიკავა.

მემელის დაპყრობა

მთავრობის შედგენა

ლონდონი. 29 იანვ. მემელის ოლქში გაგზავნილი კომისია იტყობინება, რომ განზრახულია მთავრობის შედგენა, მხოლოდ ებრაელ სხვა და სხვა ჯგუფებისაგან, მემელის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე.

ერთა ლიგის სხდ.

ლონდონი. 29 იანვ. პარიზში ჩავიდა ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრი გრიუნბერგერი და ავსტრიის [illegible] ეროვნულ ბანკის თავმჯდომარე ერთა ლიგის თათბირში მონაწილეობის მისაღებად.

პარიზი 29 იანვარი ერთა ლიგის საბჭოს სესია იწყება 3 რიცხვში 29 იანვარს ვივიანის თავმჯდომარეობით.

ელჩთა კონფერენციის კომისია.

ბორდო 27 იანვ. მემელში ჩავიდა ელჩთა კონფერენციის მიერ გაგზავნილი კომისია, ბლონ[illegible]ის თავმჯდომარეობით ქალაქში სიწყნარეა.

ლიტვის სეიმი.

მოსკოვი. 26 იანვ. ლიტვის სეიმმა 24 იანვარს ხმა მისცა მემელის ლიტვასთან შემოერთებას.

ერთიანი მუშათა ფრონტი

მოსკოვი 29 იანვ. საფრანგეთის კომუნისტური პარტია და შრომის კონფედერაცია დღეებში ამ ტერიტორიის [illegible] ინტერნაციონალის მიმართ, მხარს უჭერენ კომინტერნის და პროფინტერნის წინადადებას ერთიანი მუშათა ფრონტის შექმნის შესახებ იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ ჩეხოსლოვაკიაში

მოსკოვი. 29 იანვ. უნგრეთის გაზეთების ცნობის თანახმად სამხრეთ სლავიამ დასდო ჩეხო-სლოვაკიასთან ხელშეკრულება სესხის შესახებ, რომლის ძალითაც ჩეხო-სლოვაკია დაუყოვნებლივ დაიწყებს იარაღის დამზადებას სამხრეთ-სლავიისათვის.

ლოზანის კონფერენცია

რუსეთის გარეშე ვერას გახდენ

ლონდონი 29 იანვ. ინგლისელ კორესპონდენტების ცნობით, რუსეთის დელეგაცია მოიწვევს ხელმეორე [illegible] კონფერენციის განახლებამდე.

მოკავშირეთა დელეგაცია

მოსკოვი. 29 იანვ. მოკავშირეთა დელეგაციები სტამბოლიდან ლოზანას 2 თებერვალს. თურქებს მიეცემათ ხელშეკრულების განხილვის შემდეგ აღიარებს, რამდენიმე ისინი ამას დაინახავენ ს[illegible]. ხელშეკრულების მუხლების თურქების შეთანხმების შემთხვევაში დელეგაციის თავმჯდომარეები დაბრუნდებიან ლოზანაში ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად.

[illegible] ხელშეკრულება

მოსკოვი. 29 იანვ. თურქების დე-

ლეგაციის წევრებთან ხანგრძლივ თათბირის შემდეგ ისმეთ-ფაშამ განაცხადა, რომ მოკავშირეების მიერ ლოზანის დატოვების შემთხვევაში, ოსმალებიც აგრეთვე დაუყოვნებლივ დასტოვებენ ლოზანს.

მდგომარეობა კრიტიკულია.

მანჩესტერი, 29 იანვ. მდგომარეობა ლოზანაში კრიტიკულია. ცნობა მოდის, რომ მოკავშირეთა და ოსმალოებს შორის არსებული უთანხმოება მოწესრიგებული იქნება 2 თებერვლისათვის.

პუანკარეს რჩევა.

პარიზი, 29 იანვ. ლოზანიდან იტყობინებიან, რომ პუანკარემ დეპეშა გაუგზავნა მუსტაფა-ქემალ ფაშას და ურჩია ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას.

სრული უთანხმოება.

პარიზი, 29 იანვ. ფინანსიური კომისიის პლენარულ სხდომაზე ბონარმა აღნიშნა სრული უთანხმოება მოკავშირეთა და ოსმალეთის მოთხოვნილებათა შორის. საზავო მოლაპარაკება პრაქტიკულად დამთავრდა. მთავარი კომისია შეიკრიბება ოთხშაბათს და მაშინ აცნობებენ ოსმალეთის დელეგაციას საზავო ხელშეკრულების მუხლების შინაარს.

რუსეთის დაუყოვნებლივი ცნობა შესამჩნევლად გაზრდიდა ევროპის ეკონომიურ სიმტკიცეს.

ბორას განზრახული აქვს მოგზაურობა ევროპაში საგიტაციო მიზნით, საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის. დარწმუნებულია, რომ ამერიკის საზოგადოებრივი წრეები, ფერმერები და საქმიანი ხალხი თანაგრძნობით შეხვდებიან მის კამპანიას.

ბოლშევიზმთან ბრძოლა იაპონიაში მიღებული კანონის მიერ.

მოსკოვი. 29 იანვარი (რადიო) იაპონიის იუსტიციის სამინისტრომ [illegible] კანონი ბოლშევიზმთან საბრძოლველად მიმართული.

სამხრეთ-სლავია.

მოსკოვი. 29 იანვარი. სამხრეთ სლავიის მინისტრთა საბჭომ გასცა განკარგულება რეკრუტების გაწვევის შესახებ, რაიც გამოწვეულია უფროსი ასაკის სამსახურის დროს გათავებით.

საფრანგეთის დახმარება სამხრეთ სლავიას.

მოსკოვი. 29 იანვარი. სამხრეთ სლავიის არმიის ტეხნიკური მოწყობილობათა შესყიდვისად მოსალოდნელია კრედიტის მიღება საფრანგეთიდან.

უნგრეთში.

მოსკოვი. 29 იანვარი. საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით უნგრეთის მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკება სოციალ დემოკრატებთან ნაციონალური ფრონტის შექმნის შესახებ. სოციალ-დემოკრატები თანხმდებიან მხარი დაუჭირონ მთავრობას.

საფრანგეთის და რუსეთის სავაჭრო ურთიერთობა.

მოსკოვი 29 იანვარი. საფრანგეთიდან დაბრუნებული ნიჟეგოროდის ბაზრობის წარმომადგენილი—მილიშევი, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მრეწველთა ფართო წრეებში იზრდება სიმპატია რუსეთისადმი და კომერციული წრეები ცდილობენ რაც შეიძლება დაჩქარებით აღადგინონ რუსეთთან მტკიცე სავაჭრო ურთიერთობა.

კარგად მიიღეს მალიშევი ლიონში, სადაც მან დასდო ხელშეკრულება ლიონის ბაზრობაზე რუსეთის მონაწილეობის შესახებ.

ირლანდიაში.

პარიზი. 27 იანვ. დუბლინში არეულობა გრძელდება. ტელეგრაფის კავშირი შეწყვეტილია.

დეპუტატთა პალატაში.

პარიზი 27 იანვ. დეპუტატთა პალატამ 280 ხმის უმრავლესობით 61 წინააღმდეგ მთლიანად მიიღო 1923 წლის ბიუჯეტი.

საბერძნეთში.

ბორდო. 27 იანვ. საფრანგეთის სამხედრო ატაშე საბერძნეთში გაემგზავრა ათინიდან სალონიკში, სადაც მან გენერალ ისუსთან ერთად უნდა განიხილოს საკითხი საბერძნეთის ჯარების მარიცის ნაპირზე გადაჯგუფების შესახებ.

რუმინეთში

მოსკოვი. 27 იანვ. რუმინიის მინისტრთა საბჭომ დაადგინა გავრცელდეს საალყო წესები მთელს ტრანსილვანიაზე. ლაუხენბურგში მოხდა კერძო ბინების მასსიური რეკვიზიცია ახლად ჩამოსულ რუმინიის არმიის ოფიცრებისათვის.

ჩეხო-სლოვაკია და რუმინეთი.

მოსკოვი. 27 იანვ. ჩეხო-სლოვაკიის ელჩმა ბუქარესტში განაცხადა, რომ რუმინეთს შეუძლია იქონიოს ჩეხო-სლოვაკიის დახმარების იმედი იმ შემთხვევაში, თუ უნგრეთი მოინდომებს ტრიანონის საზავო ხელშეკრულების დარღვევას.

ახლო აღმოსავლეთში

მოსულს ძალით წაიღებენ.

მოსკოვი 29 იანვარი (რადიო). რეიტერის სააგენტოს ცნობით ანგორის ნაციონალურ ყრილობაზედ მსჯელობა აქვთ მოსულის ინგლისელებისათვის ძალით წართმევის შესახებ.

სპარსეთში ანგლოფილურ მინისტრთა საბჭოს გადადგომა.

მოსკოვი. 29 იანვარი (რადიო) ნაციონალური ბლოკის მკაცრი ბრძოლამ, რომელსაც მიზნად ჰქონდა საბჭოთა რუსეთთან დაახლოება, შედეგად მოჰყვა სპარსეთის მინისტრთა საბჭოს გადადგომა.

მოსული.

პარიზი. 29 იანვარი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ მოსულის გარნიზონი ძლიერ გამაგრებულია. დამარე ქვეითა ჯარები და ჰაეროპლანები მოდის ბაღდადიდან.

ოსმალეთის ქალის თანასწორ-უფლებიანობა.

ლონდონი 29 იანვარი. ქემალ ფაშამ ბრუსაში მოწვეულ მასწავლებელთა ყრილობაზე განაცხადა, რომ ოსმალეთის ქალმა უნდა მიატოვოს ჩადრი და გაითანასწოროს მამაკაცს. მან განაცხადა რომ ქალს უფლება აქვს ყოველგვარ პროფესიაში მუშაობისა.

ფრაკიიდან სალონიკში.

ლონდონი 29 იანვარი. მოკავშირეთა წინადადებით ბერძნებმა ჯარების მთავარი ბინა გადაიტანეს ფრაკიიდან სალონიკში.

ჩეხოსლოვაკიაში

ჩეხო-სლოვაკია და რუსეთი

მოსკოვი. 29 იანვ (რადიო) ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჟურნალში აღნიშნულია რუსეთთან ნორმალური დამოკიდებულების აუცილებლობა, რომლის უქონლობა ახადგურებს ევროპის ეკონომიას და ბადებს მუდმივ შიშს ევროპის მიმართ.

ჩეხო-რუსეთის ხელშეკრულება.

მოსკოვი 29 იანვ (რადიო) სლოვაკიის მანქანების მშენებელ კონსორციუმის დირექტორი ტუჩეკი პრესაში მოთავსებულ სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს ჩეხია-რუსეთის ხელშეკრულების სისუსტეს და საჭიროდ სცნობს ჩეხო-სლოვაკიის რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აუცილებლობას. მცირე ანტანტის ბაზრით დაკმაყოფილება ჩეხიის მრეწველობას არ შეუძლია.

უმუშევარნი ჩეხო-სლოვაკიაში.

მოსკოვი 29 იანვ. (რადიო) ოფიციალურ ცნობათა თანახმად იანვარში ჩეხო-სლოვაკიაში ირიცხებოდა 500.000 უმუშევარზედ მეტი. რაც შეადგენს ჩეხიის ყველა მუშების 15 პროც, მუშების 50 პროც. მეტი მუშაობს დღეებით, ვინაიდან ქარხნები, სადაც ისინი მუშაობენ წარმოებენ 2—3 დღით, ან ერთი კვირით.

შორეულ აღმოსავლეთში

იაპონია და რუსეთი.

მოსკოვი. 29 იანვარი (რადიო). იაპონიის პრემიერ მინისტრმა დეპუტატთა პალატაში განაცხადა: ჩვენ გვსურს დავდოთ სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან, თუ ამისთვის შემთხვევა გვექნება. ჩვენ თანახმა ვართ ვცნოთ საბჭოთა რუსეთი.

ამხ. იოფფე.

მოსკოვი. 29 იანვარი. პეკინიდან იტყობინებიან, რომ ამხანაგი იოფფე, იაპონიის საზოგადოებრივ წრეების მიერ მიპატიჟებული, ეწვევა იაპონიას.

სახალინის ოკუპაცია

მოსკოვი, 29 იანვ. ტოკიოდან იტყობინებიან, რომ ოპოზიციის ლიდერი კატო შეეკითხა მთავრობას, რატომ არ მოითხოვს მთავრობა ნიკოლაევსკში მომხდარი ამბების გამო დაკმაყოფილების სხვა საშუალებას, გარდა სახალინის ოკუპაციისა. თავის პასუხში პრემიერმა აღიარა ოკუპაციის არასასურველობა, მაგრამ ევაკუაცია შეუძლებლად მიაჩნია რუსეთის მხრივ გარანტიების მიცემის შემდეგ.

სახალინის ექსპლოატაცია.

მოსკოვი 29 იანვ. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ხელშეკრულება (36 წლის ვადით) სინკლესის კომპანიასთან რუსეთის სახალინის ტერიტორიაზე ნავთის და ნატურალურ გაზების ამოსაღებად. ათასი კვადრატული ვერსის ექსპლოატაციის შესახებ კომპანიას უფლება ეძლევა მოაწყოს სახალინის აღმოსავლეთ ნაპირზე ორი ნავთსადგური. ეს ნავთსადგურები იქნებიან საბჭოთა რუსეთის მთავრობის განკარგულებაში, რომელსაც უფლება აქვს დაარღვიოს საკონცესიო ხელშეკრულება ყველა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საბჭოთა რუსეთის მიმართ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების მტრულ მოქმედებას, ანუ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადების დღიდან 5 წლის ვადში საბჭოთა რუსეთი ამერიკის მიერ არ იქნება ცნობილი იურიდიულად.

ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, საბჭოთა მთავრობა აუნაზღაურებს კომპანიას ზარალს და არ კისრულობს არავითარ იურიდიულ და მორალურ პასუხისმგებლობას მის წინაშე.

სხვადასხვა ამბები

ამერიკა და საბჭოთა რუსეთი.

მოსკოვი. 29 იანვარი (რადიო) ვაშინგტონის სენატის პროგრესიულ პარტიის ლიდერმა ბორამ [illegible] ჰარდინგს განუცხადა, რომ ევროპის [illegible] საბჭოთა რუსეთის [illegible]

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სასოფლო-სამეურნეო კონცესიები

მოსკოვი. 29 იანვ. სახ. კომ. საბჭომ დაამტკიცა ებრაელ კოლონისტთა საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც ავალებს მას ებრაელთა მოსახლეობის საწარმოო მეურნეობის აღდგენას, სასოფლო სამეურნეო და პროფ. ტეხნიკურ სასწავლებლების მოწყობას, და ებრაელ სამიწადმოქმედო კოლონიებისთვის ნედლი მასალის და ინვენტარის მიწოდებას.

ნანსენის მუშაობა.

მოსკოვი 29 იანვ ნანსენმა ინახულა სახალხო კომისარიატის ოფიციალური წარმომადგენლები, რომელთაც შეუთანხმდა გადახდისათვის სამიწადმოქმედო იარაღის შესაძენად კრედიტის მიცემის შესახებ. უკრაინა ნანსენი უგზავნის 70 ტრაქტორს სრული მოწყობილობით.

მიღებულია შეთანხმება სახ. კომ. [illegible] კომისარიატთან [illegible] დახმარების ორგანიზაციის შესახებ სასოფლო-სამეურნეო მანქანების, თესლეულობის და მუშა საქონლის შესაძენად. ჯერ-ჯერობით ნანსენის განკარგულებაში 1 მილიონი მანეთი ოქრო. დამშეულ ადგილებში სასურსათო დახმარების მიცემა გაგრძელდება მიმდინარე წლის ივნისამდე, ამავე დროს ბავშვთ ულუფა 900 კალორით განისაზღვრება.

რუსეთის ექსპორტი.

მოსკოვი. 29 იანვ (რადიო). საგარეო ვაჭრობის ბალანსის [illegible] გაუმჯობესების მიზნით, მიღებულია ზომები რუსული ექსპორტის გასაფართოებლად, რომლის რაოდენობაც [illegible] ორგანოების გეგმის თანახმად 97 მილიონ ოქრო უნდა მიაღწიოს. ამავე მოსაზრებით რუსეთის მრეწველობის წარმოებისათვის ხელის შესაწყობად აკრძალულია იმ საქონლების შემოტანა, რომელთა დამზადებაც რუსეთის ქარხნებში შესაძლებელია, კერძოდ შეწყვეტილია ელექტროტეხნიკური მასალების უცხოეთში შეკვეთა.

უცხოეთის ცხოვრება

საფრანგეთის მილიტარიზმი კოლონიებში.

კოლონიალური ბიუჯეტის განხილვისას საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში [illegible] საფრანგეთი „[illegible]“ მთელი „[illegible]“ კოლონიებში ამხ. ბერტონმა თავის სიტყვაში მოიყვანა, სხვათა შორის, შემდეგი ფაქტები: ინდო-ჩინეთში ადმინისტრაციის მთელი ბიუჯეტი იმყარება ალკოჰოლს და ოპიუმს. გაზეთი ადგილობრივი ანამიტურ ენაზე განიცდის სასტიკ ცენზურას, და მოსახლეობა ყოველ ნაბიჯზე შევიწროებულია საფრანგეთის ადმინისტრაციისაგან. მადაგასკარში ადგილობრივი [illegible] გარბიტი არ შეჩერდა იმ ზომის წინ, რომ კუნძულის საზღვრებიდან გაეძევებინა ადგილობრივი მკვიდრი რალამინტი მხოლოდ იმისათვის, რომ მან, პარიზში ყოფნის დროს, გამოაქვეყნა და ამხილა ამ კოლონიაში არსებული „წესები“.

შემდეგ ბერტონმა მოიყვანა ფაქტები ასეულ ადგილობრივ მკვიდრთა დაძევებისა, მიუხედავად იმისა, რომ იგინი გაამართლა სასამართლომ. როდესაც შემდგომ მხილებათა დროს, პოლკოვნიკი ჟესი შეეცადა დაეცვა კოლონიალური რეჟიმი, ბერტონმა ის მალე ჩააჩუმა, როცა მოაგონა მას, რომ პოლკოვნიკი არის ეკვატორიულ აფრიკის ბანკის დირექტორი, და ამიტომ, მას, როგორც დაინტერესებულ პირს, მართებს გაჩუმება. თავის სიტყვის დასასრულს, რომელმაც გამოიწვია მემარჯვენეების პროტესტი და მემარცხენეთა ტაში, ბერტონმა სთქვა: „აღადგენს რა საფრანგეთის რევოლუციის ტრადიციებს, რუსეთის რევოლუცია ასრულებს ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების ამოცანას. ამავე მიმართულებით მუშაობს კომუნისტური ინტერნაციონალი“.

ესეც ინტერნაციონალია!

ახალ წლის წინადღეებში ბერლინში გაიმართა ანარქისტულ მიმართულების სინდიკალისტების საერთაშორისო კონგრესი. კონგრესმა გამოძებნა „წარმომადგენლები“ ყველა ქვეყნიდან, დაწყებული მექსიკიდან და გათავებული პორტუგალიით, და 28 დეკემბერს გამოიტანა დადგენილება პროფკავშირების სინდიკალისტურ ინტერნაციონალის დაარსების შესახებ, ამსტერდამის და მოსკოვის დასაპირდაპირებლად.

„ფორვერტს“-იც კი დასცინის ამ მკვდრად შობილ ორგანიზაციას და აღნიშნავს, რომ ერთად-ერთი ქვეყანა, სადაც ახალ „ინტერნაციონალს“ შეიძლებოდა ცოტაოდენი გამოჯვარების იმედი ჰქონოდა, იყო საფრანგეთი, მაგრამ სწორედ ეხლა საფრანგეთის სინდიკალისტებიც შეუერთდნენ წითელ პროფინტერნს.

კაპიტალის შეტევის შედეგები

ორი გასული წლის განმავლობაში ინგლისის მუშების სამუშაო ხელფასი შემცირებულ იქნა 520 მილ. გირ. სტერლინგით (5 მილიარდ მანეთამდე ოქროთი). ამ ციფრში არ შედიან სასოფლო სამეურნეო მუშები, სახელმწიფო და კანტორის მოსამსახურენი.

სასოფლო სამეურნეო ფრონტზე

სათესლე სესხის აკრება.

ტფილისის მაზრა. დარიგებული სათესლე სესხიდან მიმდინარე წლის 29 იანვარს აკრებილია პური და ქერი (თავთავით)—95 პროცენტი.

სიმინდი, რომლის აკრება დაიწყო დეკემბრის დასასრულს აკრებილია 40 პროც. მეტი.

აკრება თავთავის ერთეულების დასრულებულ იქნება უახლოეს დღეებში. ამ ჟამად მთლად აკრებილი არ არის მხოლოდ წალკის და ბორჩალოს რაიონებში, სადაც მოსავალი დაზარალდა სიცივისაგან.

შემოდგომის ნათესები.

ანულის ამოსვლა მაზრაში დამაკმაყოფილებელია. ამ ჟამად თბილ ამინდების და [illegible]

დამთის კომისიების მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები ამ მავნებლის მოსასპობად.

გაზაფხულის თესვის კამპანია.

მაზრაში საჭირო სათესლე მასალის ცნობები უკვე აკრეფილია. მიწის დამმუშავებელთა დასაკმაყოფილებლად გაზაფხულის თესვისათვის საჭიროა 3000 ფუთი.

სამაზრო თესვის კომისია დარწმუნებულია, რომ მიიღებს ამ სათესლე რაოდენობის ნაწილს სესხის სახით სხვა მაზრებიდან თესვის ცენტრალურ კომისიის საშუალებით.

ამიერ კავკასიის რესპუბლიკებში

სომხეთი

ცეკის სესია.

ერევანი. 28 იანვარი. სომხეთის ცეკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა მოიწვიოს 1 თებერვალს სომხეთის ცეკის საგანგებო სესია.

განათლების სახ. კომისარი.

სომხეთის ცეკის უკანასკნელ სხდომაზე სომხეთის სახ. განათლების კომისრად დაინიშნა ამხ. მრავიანი.

სასოფლო საბჭოების ყრილობა.

29 იანვარს მოწვეული იქნება ერევნის მაზრის ყველა რაიონის სასოფლო საბჭოების და მიწის მოწყობის ყველა კომისიების ყრილობა, მიწათ მოწყობის, სასოფლო მეურნეობის და სხვ. საკითხების განსახილველად.

შირაქის არხი ეკრანზე.

26 იანვრიდან ერევნის მუშათა კლუბში უჩვენებენ კინო სურათს, რომელიც გადაღებულია შირაქის არხის გაყვანის დროს. საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის დემონსტრაცია იზიდავს კინო-თეატრში მილიონ მუშებს და მოსამსახურეებს.

ბანდიტიზმისათვის.

სომხეთის საგანგებო კომისიის კოლეგიამ დაადგინა: სიკვდილით დასჯა—დახვრეტით მიესაჯოს წოქლაქე საიკიან არმენაკს, შავარშიან არამს და ზაქრებიანს, ბანდიტიზმისათვის ავის და ძარცვა-მკვლელობაში მონაწილეობისათვის. განაჩენი 25 იანვარს იქნა მოყვანილი სისრულეში.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ცეკას. თელავიდან

მეორე ყრილობა თელავის სამაზრო მიწის კომიტეტებისა და აგროდახმარებისა მოგესალმებით თქვენ. მიზნად ისახავს 15 მარტამდის დაუყოვნებლივ გაატაროს ცხოვრებაში მიწის დეკრეტი № 17 და ზედმიწევნით დაიცვას მშრომელი გლეხკაცობის ინტერესები.

ყრილობის თავმჯდომარე ცინცაბაძე

საორგანიზაციო საკითხები

გაგრძელება (იხ. „კომ.“ № 20)

რაიკომების მდივნების თათბირი

ასეთ თათბირებს რაიონებში იწვევენ საორგანიზაციო განყოფილებანი. საჭიროა [illegible] მოიწვიოს [illegible] თათბირები ქალაქის მასშტაბით. ჩვენ აგრეთვე ვიწვევთ რაიონის სადელეგატო კრებებს. საჭიროა სიწორით განისაზღვროს მდივანთა თათბირების და სადელეგატო კრებების მუშაობა.

ამ მხრივ ჩვენ ხშირად მოგვდის შეკითხვები. როგორი საკითხები უნდა იქნას განხილული კომუჯრედების მდივანთა თათბირზე? უწინარეს ყოვლისა იქ ზედმიწევნით უნდა იქნას განხილული ცენტრალური და რაიონულ კომიტეტების ყველა ცირკულიარი და ინსტრუქციები.

საორგანიზაციო განყოფილებამ უნდა უჩვენოს მეთოდები და გზები ამ ცირკულიარების პრაქტიკულად გასატარებლად.

ერთი სიტყვით საორგანიზაციო განყოფილება ინსტრუქციებს აძლევს კომუჯრედების მდივნებს და აძლევს მათ დირექტივებს პოლიტიკურ საორგანიზაციო ცხოვრების საკითხებში და აგრეთვე ყველა იმ საკითხებში, რომელსაც აყენებენ რაიონული რაიკომები. ამავე სხდომაზე აგიტაციო და საპროპაგანდო განყოფილებები. მდივანთა თათბირზე არ უნდა იქნას დასმული საერთო ხასიათის საკითხები, რაიკომის განყოფილებათა ანგარიშები და საერთო მოხსენებები, რომელიც არ არის დაკავშირებული იაჩეიკის პრაქტიკულ მუშაობასთან. საჭიროა მდივანთა თათბირებზე მორიგეობით აკეთებდნენ მოხსენებებს თვით მდივნები თავიანთ იაჩეიკების მუშაობის შესახებ, უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას, აღნიშნავდნენ დეფექტებს და ამავე თათბირებზე რაიკომების განყოფილებათა ხელმძღვანელობით იხილავდნენ იმ ღონისძიებებს, რომლითაც შეიძლება ამ დეფექტების თავიდან აშორება. საერთოდ მდივანთა თათბირები უნდა წარმოადგენდეს კომუჯრედების მდივანთა პრაქტიკულ სკოლას.

რაიონის სადელეგატო კრებები.

რატომ ვიწვევდეთ ჩვენ სადელეგატო კრებებს? ჩვენ მათ ვიწვევთ იმიტომ, რომ გამოცდილებამ დაგვანახვა საერთო სარაიონო კრებების ხშირი მოწვევის მიზანშეუწონლობა. საერთო კრებები უნდა იქნას მოწვეული არა უმეტეს ერთხელ თვეში, სადელეგატო კრებები კი ორჯერ თვეში.

დელეგატები იკრიბებიან 2 თვის ვადით, ამასთანავე მიზანშეწონილია ხელახალი არჩევნების დროს სადელეგატო კრებების ახალ შემადგენლობაში შეყვანილ იქნან იაჩეიკის ახალი წევრები მდივნების გარდა, რომელთა დასწრება ყველა სადელეგატო კრებაზე მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს სავალდებულოდ. პირველ ხანებში (6 თვე) რაიკომები სარგებლობენ სადელეგატო კრების შემადგენლობით. მიზნად უნდა იქნას დასახული, რათა რაიონის წევრთა უმრავლესობა გატარებულ იქნას ამ სადელეგატო კრებებზე. როგორი საკითხები უნდა განიხილონ სადელეგატო კრებებმა? უპირველეს ყოვლისა სადელეგატო კრებებს რაიკომის განყოფილებებმა უნდა წარუდგინონ ანგარიშები. განყოფილებათა მუშაობის ყოველი გეგმა უნდა განხილულ იქნას სადელეგატო კრებებზე, [illegible] რაიკომის განყოფილებათა მიერ წამოყენებული საკითხები გაკრიტიკებულ უნდა იქნას. ეს არ არის [illegible] საკითხების [illegible] უკვე მიღებული [illegible] ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარების თვალსაზრისით; სადელეგატო კრებებზე რაიკომს გამოაქვს ეს თუ ის საკითხი პარტიულ მასსის წინაშე, რათა სიცხადით შეიტყონ ამ მასის აზრი მოცემულ საკითხის შესახებ. რა თქმა უნდა ეს არ უარყოფს საშუალებას, როდესაც საჭიროა, დაისვას სადელეგატო კრებებზე პარტიული კომიტეტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მაგრამ ეს არ უნდა შეადგენდეს სადელეგატო კრებების მუშაობის გეგმაში [illegible] ცხოვრების საკითხებს და მ. ც. წინასწარ უნდა იქნას აღიარებული, რომ დელეგატები ანგარიშებს აბარებდნენ კომუჯრედების სხდომებს, სადელეგატო კრებების მუშაობის შესახებ.

ინდივიდუალური მიმაგრების მეთოდი.

პარტიის უპარტიო მუშებთან დაკავშირების საკითხში ინდივიდუალური მიმაგრების მეთოდი სრულიად ახალ მეთოდად უნდა ჩაითვალოს.

ეს მეთოდი მისაღებია დღევანდელ პირობებში. მხოლოდ მუშათა მასების მიმართ, იაჩეიკის ბიურო იაჩეიკის წევრიდან გამოჰყოფს ყველაზე უფრო აქტიურ ამხანაგებს, რომელთაც შეუძლიათ სისტემატიურად და მუდმივად იმუშაონ მუშათა მასში; ამ გზით მათ რამდენიმე უპარტიოებთან.

მაგალითად ზინკალ კომუნისტს მიმაგრებული იქნება 2—3 უპარტიო. ზინკალი, პირველი [illegible] ყოველ დღე (თუ მოსახერხებელია შინ—ოჯახში) წარმოიდგინოს მიმაგრებულ უპარტიო მუშებს კომუნისტური [illegible] აღზრდა, განუმარტოს სხვადასხვა საკითხები, წაუკითხოს გაზეთები და სხვა. საერთოთ კომუნისტს ევალება აზიაროს მასზე მიმაგრებული მუშები კომუნისტურ პარტიის იდეებს. იაჩეიკის ბიურო ყოველ დროს ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს კომუნისტებს, რომელთაც და [illegible] ბული ქვეთ ესოდენ [illegible] მუშაო, მოსთხოვოს მათ ანგარიში წარმოებულ მუშაობის შესახებ და ანგარიშები დასვას იაჩეიკის სხდომებზე.

ეს მეთოდი ფართო შესაძლებლობას აძლევს თვითეულ კომუნისტს, რათა უკანასკნელმა გამოიჩინოს ინიციატივა და გამონახოს ახალ ახალი საშუალებანი უპარტიო მუშათა მასსებთან კავშირის დასაჭერად. ამ მეთოდის ცხოვრებაში გატარება [illegible] ბესია სულ [illegible] მართოთ ეს მეთოდი ვიდრე [illegible] მივაღწიოთ იაჩეიკის წევრებს, რომელთაც არ შესწევთ ამ მუშაობის წარმოების უნარი.

უკანასკნელ შემთხვევაში საწინააღმდეგო შედეგებს მივიღებდით.

რაიკომები პერიოდულად უნდა იწვევდნენ ამხანაგებს, რომელთაც დაკისრებული აქვთ აღნიშნული ამოცანები, ისმენდნენ მათ ანგარიშებს, მიუთითონ ნაკლზე და მიაწოდონ სათანადო ინსტრუქციები.

რუბენი.

ტრანსპორტის კომუჯრედთა მდივნების თათბირი

26 [illegible] ტრანსპორტის კომუჯრედთა მდივნების თათბირი.

თათბირის დღის წესრიგი შემდეგი იყო

1. ანგარიში ცეკას სატრანსპორტო განყოფილების, 2. მოხსენება ადგილებიდან, 3. პარტიული ორგანიზაციის (ჯგუფი საკითხები, ა) თანამშ

ანგარიში

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის მოქმედებისა 1921 და 1922 წლებში.

(განათლების კომისრის ამხ. დ. კანდელაკის მოხსენებიდან ცაკის საგანგებო სესიაზე)

გაგრძელება (იხ. „კომ.“ № 20)

სახელმწიფო თეატრი. შემდეგ, სექციამ შეიმუშავა ეგრეთ სახელმწიფო თეატრის ორგანიზაცია, ისე როგორც მოსკოვის სამხატვრო თეატრისა, რომელიც არის საჭირო დღეს. როდესაც, [illegible] უქონლობის გამო, ბევრი [illegible] თავიანთი [illegible] ამერიკული კინო „ტრიუკების“ [illegible] სცენაზე დადგმისთვის. ამ რიგად, სექციის მუშაობამ საერთოდ ნაყოფი გამოიღო; იგი მეტად გამოჩნდება, თუ მთელი გეგმის განსახორციელებლად მას საჭირო თანხა მიეცემა.

პედაგოგიური სექცია. სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოსთან პედაგოგიურმა სექციამ მოქმედება შედარებით ახლო წარსულში დაიწყო. მისი მუშაობის ძირითადი ამოცანას შეადგენს შემუშავება მეთოდიური საკითხებისა, რომელთაც გამოცდა ხდება სანიმუშო დაწესებულებებში. სექციისავე საქმეს შეადგენს გადასინჯვა სასწავლო-აღმზრდელობითი ლიტერატურისა და მასზე თავისი აზრის გამოთქმა. მოკლე ხნის განმავლობაში სექციამ მოახერხა გადათვალიერება რამდენიმე წიგნისა, რომელთაც გადაეცა მას თავისი აზრის გამოსათქმელად.

საინსტრუქტორო განყოფილება. სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს საინსტრუქტორო განყოფილება არის ამ სამმართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი განყოფილება. საინსტრუქტორო განყოფილებამ დაათვალიერა სახალხო განათლების შემდეგი ადგილობრივი განყოფილებანი: ახალციხის, ბორჯომის, ბორჩალოს, გორის, დუშეთის, ზუგდიდის, ქუთაისის, ლეჩხუმის, ხაშურის, ოზურგეთის, რაჭის, ფოთის, სიღნაღის, სენაკის, თელავის, თიანეთის, ტფილისის, მცხეთის, ხონის, სამტრედიის, ჭიათურის და შორაპნის. ამ დათვალიერების დროს საინსტრუქტორო განყოფილებამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია შემდეგს:

1) რამდენად შეეფერება პირადი შემადგენლობა სახალხო განათლების მომუშავეებისათვის დანიშნულებას;

2) საზოგადო კონტროლი გაუწია სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებათა მოქმედებას და გამოარკვია რამდენად თანხმობდა ეს მოქმედება განათლების სახალხო კომისარიატის საზოგადო პოლიტიკას;

3 ყურადღებას აქცევდა პროგრამის გატარებას შრომის სკოლებში და ამ პროგრამის გამო შესაფერ განმარტებას აძლევდა როგორც სახალხო განათლების განყოფილებებს, ისე მასწავლებელთა კონფერენციებს;

4 შრომის სკოლის პრინციპების, მეთოდების და ორგანიზაციის განსამარტებლად მოხდა კონფერენციები: [illegible], ამბროლაურისა, წალკისა, მანგლისისა, საგურამოსა და ხართიშულაში. ბორჩალოს მაზრაში—[illegible] და [illegible]—მასწავლებელთათვის მოეწყო ორი თვის სამასწავლებლო კურსები.

სოციალური აღზრდის მთავარი სამმართველოს ინსტრუქტორებმა წაიკითხეს მთელი რიგი მოხსენებისა შემდეგ თემებზე: „ძველი სკოლის ცოდვები“, „რა არის შრომის სკოლა და როგორი უნდა იწრთობოდეს იქ აღზრდა“, „შრომის სკოლის [illegible]“, „[illegible] თამაშობების შესახებ“, „ერთმორთველობა სკოლაში“, „მეთოდიური სწავლება [illegible]“, ან გეოგრაფიიდან, ან და სხვა საკითხები.

საინსტრუქტორო კოლეგია თავის მოქმედებაში ხშირად მართავდა სხდომებს, რომლებზედაც ხდებოდა აზრთა გაცვლა და ყოველი ინსტრუქტორის მუშაობის განხილვა. თავისი გეგმის განხორციელებისათვის ინსტრუქტორთა კოლეგია დროგამოშვებით ათვალიერებდა ქალაქ ტფილისის ყველა სკოლებს. კოლეგია აგრეთვე არჩევდა ყველა იმ ახალ საკითხს, რაც კი თანამედროვე პედაგოგიურმა ლიტერატურამ აღძრა.

პედაგოგიური პერსონალის მომზადება. მუშაობა მრავალმხრივი იყო, მაგრამ ეს მუშაობა, იქნებოდა სახალხო განათლების „პარადის“ მიდგომა, მეთოდიური მუშაობის, პროგრამების შეფერება თუ სხვა რამის, არავითარ ნაყოფს არ მოიტანდა, რადგან ახალი სკოლისთვის საჭირო მომზადებულ მომუშავეთა რიცხვი მეტად მცირე იყო. ამიტომ სოციალური აღზრდის მთავარი სამმართველო მუშაობის დროს დიდ ყურადღებას აქცევდა ახალი პედაგოგიური პერსონალის მომზადებას და ძველი პერსონალის გადამზადებას, რისთვისაც გაიხსნა ერთიანი შრომის სკოლის პრინციპებს და სხვა დარგებს. ამ აზრით გაიხსნა ცენტრალური საინსტრუქტორო ინსტიტუტი, პირველ ხანს საერთო კურსით, ხოლო შემდეგ ოთხთვიანი კურსით. კურსების მსმენელთა კონტინგენტს უმთავრესად შეადგენდნენ სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებიდან და პარტიული ორგანიზაციებიდან გამოგზავნილნი. ამ კურსებმა მოგვცეს 30 მომზადებული მომუშავე. გაიხსნა საკამდეგ აღზრდის კურსები. ეს კურსები 19 კაცმა გაათავა. ინსტიტუტთან კვირაობით იმართება კითხვები შრომის სკოლის თეორიასა და პრაქტიკაზე მასწავლებელთ და იმ პირთათვის, ვისაც აღზრდისა და განათლების საკითხი აინტერესებს.

ამ ამოცანათა განხორციელების მთავარ მომენტს წარმოადგენს მატერიალური ბაზის გამაგრება. სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს კერძო ინიციატივა და ფასიანი შრომის სკოლაში დაუშვებლად მიაჩნია. მთავარ სამმართველოს მტკიცედ სწამს, რომ რეალიზაცია უკვე დაკანონებულ სასკოლო გადასახადისა, რომელიც ყველაზე სამართლიანი და ერთად ერთი შესაძლებელი გადასახადია მომავალ მოქალაქეთა მომზადების საქმეში მთელი საზოგადოების მონაწილეობის საკითხისა, გაამაგრებს მატერიალურ ბაზას და ამით შექმნის უკეთეს პირობებს ზემოაღნიშნულ ამოცანათა ცხოვრებაში გასატარებლად.

სოციალური აღზრდის მთავარი სამმართველოს ახლო ამოცანები. მთავარი სამმართველო თავის მთავარ ამოცანებად მიაჩნია:

1. გაძლიერება ბრძოლისა ბავშვთა უპატრონობასთან, რისთვისაც საჭიროა გახსნა ახალი საბავშვო სახლებისა, მაგრამ არა ტფილისში, არამედ პროვინციაში. ამ საქმისთვის გამოყენებულ უნდა იქნან საკურორტო ადგილები და ეკონომიურად ღონიერი სოფლები.

2. საჭიროა მოწყობა უფრო გაფართოებულ საზოგადო საცხოვრებლისა ყრუ-მუნჯ ბავშვებისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს ბავშვების მიღება პროვინციიდანაც.

3. დამთავრება მშრომელ ბავშვთა სახლისა, რადგან დაუშვებელია ერთსა და იმავე შენობაში მოთავსება ნორმალური და არა ნორმალური ბავშვებისა; ამ უკანასკნელთათვის საჭიროა სხვა მოთავსება.

4 მოწყობა, კოჯორის მსგავსად, მომდევნო შრომის კოლონია-კომუნებისა.

5 მიღება მთელი რიგი ზომებისა განათლების მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ამისათვის საჭიროა: ა) ზოგიერთ ტეხნიკუმების პედაგოგიურ ტეხნიკუმებად გადაკეთება; ბ) კურსების მოწყობა როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში; გ) დაარსება პედაგოგიური ინსტიტუტებისა პროვინციის ზოგიერთ ადგილებში, როგორც მაგალითად, ქუთაისში, ფოთში, და სხვაგან.

6 გაძლიერება მუშაობისა საბავშვო ლიტერატურის გამოსაცემად.

7 გამოცემა პედაგოგიური ჟურნალისა, რომელიც ნათელ ჰყოფდა პედაგოგიურ აზრის მუშაობას ჩვენს რესპუბლიკაში და საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებათა მიღწევებს.

8 გაძლიერება მუშაობისა სკოლის გარეშე აღზრდის საქმეში, რისთვისაც რესპუბლიკის მასშტაბით უნდა მოეწყოს საბავშვო კლუბები და საბავშვო მოძრავი ბიბლიოთეკები.

9. სოციალური აღზრდის მთავარი სამმართველო იღებს რა მხედველობაში რესპუბლიკის მატერიალურ შესაძლებლობას, თავის ძირითად ლოზუნგად, როგორც დროებით ზომას, აღიარებს სკოლის ქსელის გაფართოების შეჩერებას და დღეს არსებულ პედაგოგიური მუშაობის გაღრმავებას.

პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლების მთავარი სამმართველო.

პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლების მთავარი სამმართველოს ამოცანები და ორგანიზაციის დრო. პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველო მოეწყო 1921 წლის ივნისის შუა რიცხვებში. მთავარი ამოცანები, რომელთა განხორციელებაც საბჭოთა ხელისუფლებამ მას დააკისრა შემდეგია:

1. რეორგანიზაცია მაღალი და დაბალი სკოლისა იმ მხრივ, რომ მათი პროგრამა დაახლოვებოდა პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებებს და სოციალური ცხოვრების პირობებს.

2 გადაქცევა ამ სკოლისა ხელმისაწვდომად გლეხთა და მუშათა ფართო მასსებისათვის.

3 შექმნა იმ ტიპის სასწავლებლებისა, რომელნიც, როგორც სწავლის მეთოდით, ისე პროგრამებით, ემსახურებოდნენ მოზრდილ მშრომელთა აუდიტორიას, რათა ამით მუშებს შეძლება მიეცეთ შეიძინონ საჭირო ცოდნა და მომზადება პასუხისმგებელ თანამდებობათა დასაჭერად წარმოებასა და სახელმწიფო აპარატში.

[illegible] მთავარი სამმართველოს [illegible]. ამ ამოცანათა განხორციელებისათვის და დიდი მეთოდიური და პროგრამული მუშაობის გასატარებლად იმ შეხედულების ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებისათვის, რომლებსაც საბჭოთა რუსეთმა მიაღწია, პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველო გაყოფილ იქნა ოთხ სექტორად. ეს სექტორებია: 1) პედაგოგიურ სოციალურ-ეკონომიური, 2) სასოფლო-სამეურნეო, 3) ინდუსტრიალურ ტეხნიკური და 4) მუშათა ფაკულტეტი.

საშუალო სკოლის რეფორმა. 1921 წლის ივლისისათვის მთელ რესპუბლიკაში არსებობდა სხვა და სხვა ტიპის (ვაჟთა და ქალთა), სახაზინო და კერძო 136 საშუალო სასწავლებელი, სადაც სწავლობდა 42.276 მოწაფე და მასწავლებლობდა 2.986 მასწავლებელი.

პროფესიონალური განათლების მთავარ სამმართველოს მუშაობის პირველი პერიოდი შეეწირა სხვა და სხვა სპეციალობის ტეხნიკუმებისთვის პროგრამების შემუშავებას (შედგენილი იქნა სულ 13 პროგრამა). სწავლის ვადა ყველა სახის ტეხნიკუმებში დაწესდა 4 წლიწადი (2 წლის საზოგადო განათლებისათვის და 2 წელიც სპეციალური განათლებისათვის).

რადგან ჩვენი რესპუბლიკა აშკარად გამოხატულ სამიწათმოქმედო ხასიათს ატარებს, პირველ ხანს განზრახული იყო დაარსებულიყო რაც შეიძლება მეტი სამეურნეო სახის ტეხნიკუმები. სადაც მთავარი ყურადღება მიექცეოდა ერთ-ერთ შემდეგ სპეციალობას: 1) მევენახეობას, 2) მებაღეობას, 3) ხნა-თესვას, 4 მესაქონლეობას, 5) ჰიდრო ტეხნიკას (მელიორაციას) და სხვას. მაგრამ მთავარი სამმართველო იძულებული იყო საკმაო მოწყობილებისა და სახსრების უქონლობის გამო ამ განზრახვაზე ხელი აეღო. მიუხედავად ამისა, ახლად გახსნილი ტეხნიკუმები მაინც რომელიმე სპეციალობის ტეხნიკუმებს წარმოადგენდენ.

პედაგოგიური სემინარიების რეფორმა. ყოფილი პედაგოგიური სემინარიები ტფილისსა, გორსა, ხონსა, ბოდბესა, ოზურგეთსა და ახალსენაკში გადაკეთებულ იქმნენ პედაგოგიურ ტეხნიკუმებად.

რეფორმის გატარება. პროფესიონალური განათლების მთავარ სამმართველოს რეფორმა უნდა განეხორციელებინა თანახმად შემუშავებული გეგმისა: უნდა დაეტოვებინა ის აუცილებელი სასწავლებლები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ახალი სკოლის მოთხოვნილებას, ნაწილი სკოლებისა უნდა დაეკეტა, ამასთან ამა თუ იმ სასწავლებლის დაკეტვის დროს მხედველობაში უნდა ჰქონოდა ის, თუ როგორ არის ამ სასწავლებელში საზოგადოთ საქმე დაყენებული, ნაწილი უნდა გაეეროვნებინა, ნაწილი კიდევ შეერთებინა სხვა უფრო კარგად მოწყობილ სასწავლებელთან.

მთავარი სამმართველო მუშაობას შეუდგა დაუყოვნებლივ და ზაფხულის ორი თვის (ივლისის—აგვისტო) განმავლობაში შესრულდა უდიდესი საქმე: მოახდინა ძირითადი რეორგანიზაცია არსებული სასწავლებლებისა და შეადგინა პროგრამები მომავალი ტეხნიკუმებისთვის. თბილისში არსებულ დაწყებითი სასწავლებლების და გიმნაზიების პირველი ოთხი კლასისაგან შექმნილ იქნა, სადაც შესაძლებელი იყო, სრულ კომპლექტიანი, რვა კლასიანი ერთიანი შრომის სკოლა, ხოლო გიმნაზიის ოთხი უმაღლესი კლასისაგან (5—8) ტეხნიკუმები. ამ შრომის შედეგი იყო 108 შრომის სკოლა და 49 ტეხნიკუმი.

ტეხნიკუმებში სწავლა სწარმოებს: ქართულ ენაზე—4 ში ქართულ [illegible] სულზე—9, რუსულზე—10, სომხურზე—4, გერმანულზე—, (ყოფილი გერმანული რეალური სასწავლებელი) და ფრანგულზე—1 (ყოფილი ფრანგული ლიცეი), ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა სავალდებულოა ყველა ტეხნიკუმისთვის.

თბილისსა და პროვინციაში 1921 [illegible] დამლევისათვის არსებობდა სულ [illegible] ტეხნიკუმი.

ტეხნიკუმების მდგომარეობა 1922 წლის დასაწყისში. 1922 წლის დასაწყისშივე პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველო იძულებული გახდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ტეხნიკუმების მდგომარეობისათვის. სასწავლო წლის დამლევისთვის გამოირკვა, რომ პროვინციის ზოგიერთი ტეხნიკუმები [illegible] რომელნიც სასწრაფოდ იქნენ [illegible] ადგილობრივი რევკომების და სახალხო განათლების განყოფილებების მოხსენებით, [illegible] ამართლებდნენ თავიანთ დანიშნულებას ეს ტეხნიკუმები, პედაგოგიურად მოუწყობელნი, მძიმე ტვირთად დააწვნენ სახელმწიფოს. მათში სწავლობდა რიცხვი ძალიან მცირე იყო და არც მასწავლებელთა კადრი იყო საკმაო. ამასთან მასწავლებელთა უმეტეს შემთხვევაში სოფლად მოსამზადებელი [illegible] ტეხნიკუმები მხოლოდ [illegible] არსებობდა. ბევრი არ შეეფერებოდა მიზანს და სრულიად არ ამართლებდა თავის დანიშნულებას. ამ მოვლენამ მთავარი სამმართველო იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ უმჯობესია რესპუბლიკაში არსებობდეს რიცხვით ნაკლები, მაგრამ კარგათ მოწყობილი, ვიდრე მრავალი და უხეიროდ მოწყობილი ტეხნიკუმები.

საურსათო გადასახადის კამპანია

სულ რამდენია აკრეფილი დასავლეთ საქართველოში?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალური დოკუმენტალური ცნობით დასავლეთ საქართველოს 7 მაზრაში იანვრის 29-სათვის 1922 წლის სასურსათო გადასახადის ანგარიშში აკრეფილია 187.147 ფუთი სიმინდის ერთეული, ანუ 63,3 პროცენტი ამ მაზრებზე შეწერილი გადასახადისა.

რამდენია აკრეფილი თვითეულ მაზრაში?

ქვემომოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ რომელს მაზრას რამდენი ფუთი სიმინდის ერთეული აქვს შეწერილი, რამდენი ფუთია აკრეფილი და ეს აკრეფილი გადასახადი შეწერილ გადასახადის რამდენ პროცენტს შეადგენს.

მაზრები	რამდენი ფუთი აქვს შეწერილი?	რამდენი ფუთია აკრეფილი?	რამდენი პროცენტია აკრეფილი?
1. შორაპნის	40,500	40,500	100,0
2. რაჭის	15,000	14,222	94,8
3. ოზურგეთის	37,500	30,000	80,0
4. ზუგდიდის	60,000	36,526	60,9
5. ქუთაისის	67,500	37,251	55,2
6. სენაკის	67,500	28,984	42,9
7. ლეჩხუმის	7,500	114	1,5
სულ დასავლეთ საქართველოში	245,500	187,147	63,3

კამპანიის მსვლელობა.

ზუგდიდის მაზრა. სამაზრო სასურსათო კომისარის მიწერილობის თანახმად იანვრის 17-დან 26-მდე 1922 წლის სასურსათო გადასახადის ანგარიშში 14.929 ფუთი სიმინდის ერთეული. ამას გარდა თემებშიაც არის შეგროვილი სიმინდი, მაგრამ საწყობებში ჯერ კიდევ არ მოუტანიათ ცუდი ამინდის გამო.

ამავე ხნის განმავლობაში 1921 წლის სასურსათო გადასახადის ანგარიშში აკრეფილია 1 134 ფუთი სიმინდის ერთეული და 172 ფუთი სიმინდი—წისქვილის გადასახადი.

ოზურგეთის მაზრა. იანვრის 21-დან 25-მდე 1922 წლის სასურსათო გადასახადის ანგარიშში შეგროვილია 3 668 ფუთი სიმინდი.

ქუთაისის მაზრა. სამაზრო სასურსათო კომისარის ცნობით იანვრის 23-დან 27-მდე 1922 წლის სასურსათო გადასახადის ანგარიშში შეგროვილია 9.971 ფუთი სიმინდის ერთეული, ხოლო კამპანიის დაწყების დღიდან აკრეფილია 37 251 ფუთი. თემებიდან შეგროვილ გადასახადის მოტანას ხელს უშლის თოვლი.

რაჭ. კამპანიის დაწყების დღიდან აკრეფილია: ხორბალი—1.545 ფუთი, სიმინდი—6 135 ფუთი, ქერი—308 ფ., ლობიო—964 ფუთი და კარტოფილი—44 ფუთი.

ლეჩხუმის მაზრა. ყოველად სარწმუნო ცნობების მიხედვით მაზრაში თითქმის სრულიად არის აკრეფილი 1922 წლის სასურსათო გადასახადი. მთელი შეგროვილი პური თემებში ინახება და უგზოობის გამო საწყობებში არ არის მიტანილი, რის გამოც ოფიციალური ცნობები მიღებული არ არის.

ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ, 3) თანამოხსენიება ქალთა შორის მუშაობის შესახებ, 4. საგიტაციო-საპროპაგანდო და კულტურულ განმანათლებელი მუშაობა ტრანსპორტზე, 5. მიმდინარე საკითხები.

ყველა ეს ჩამოთვლილი საკითხები უფრო მნიშვნელოვანია საერთოდ ჩვენი პარტიული მუშაობისათვის და განსაკუთრებით კი ტრანსპორტზე მომუშავე ამხანაგებისათვის, იმ ტრანსპორტზე, სადაც თავმოყრილია საქართველოს პროლეტარიატი და საიდანაც კომუნისტურმა პარტიამ უნდა შეავსოს ის დანაკლისი, რომელიც მოიცილა მან უკანასკნელი წმენდის დროს არა პროლეტარულ ელემენტების სახით.

თათბირმა აღნიშნა, რომ ცეკას სატრანსპორტო ქვე-განყოფილების უკანასკნელ ხანებში დაეტყო მუშაობაში შესამჩნევი გამოცოცხლება.

ადგილებიდან მოხსენებებმა გამოარკვიეს შემდეგი: რკინის გზის კომუჯრედების უმრავლესობაში არ იწვევენ სისტემატიურად ღია კრებები. ამ ნაირად რკინის გზის კომუჯრედები ჩვენიან გამოხეული თავისუფალი პარტიული ნაწილი,—ისინი იფარგლებიან გარეშე მასასთან და წარმოადგენენ კარჩაკეტილ, ცხოვრებას მოწყვეტილ ორგანიზაციას, ეს რა თქმა უნდა არ არის ნორმალური მოვლენა და შემდეგისთვის ცეკას სატრანსპორტო ქვე განყოფილებამ და ჰქონდება ებრძოლოს ამ არა ნორმალურ მდგომარეობას.

კომუჯრედის კრებები უმთავრეს შემთხვევაში აუცილებლად ღია უნდა იყოს, რომ შეიძლოს უპარტიო მასასთან მაზე დაწერილ; ამით კომუჯრედებმა შეძლებენ თანდათანობით გაავრცელონ უპარტიო მასაში ჩვენი შეხედულებანი ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენაზე. მიმზიდველი ამხანაგები, რომლებიც უნდა აკეთებდნენ მოხსენებებს ღია კრებებზე. შინაური იმ მიმდინარე პოლიტიკურ მასალის მსოფლიო მოვლენებზე, რითაც ისინი ჩვენ მუშაობაში, რითაც კი [illegible] მაგარი ფიქრები [illegible].

მეორე მხრივ რაც [illegible] ჩვენ ნაკლს არის კომუჯრედის სკოლებად გადაქცევა. საქმე იმაშია რომ ზოგიერთ კომუჯრედებს შეუდგენიათ კომუჯრედში მეცადინეობის პროგრამა, მაგ. ბუხარინის „ანბანიდან“ ნაწილი კითხვები წიგნაკიდან ისიც ნაწილი [illegible] რა თქმა უნდა ჩაითვლება არა ნორმალურ მოვლენად და საჭიროა ამის გამოსწორება.

კომუჯრედის სკოლებად გადაქცევა შეუძლებელია, კომუჯრედის დანიშნულება სულ სხვაა, რაც შეეხება მეცადინეობას ის კი უნდა ხდებოდეს კომუჯრედის სხდომებს გარეშე. ასეთი მეცადინეობას რუსეთშიც აქა-იქ ქონდა ადგილი. მაგრამ ეს დღეს უკვე გამოსწორებულია და ჩვენც უნდა ვეცადოთ ეს არა ნორმალობა თავიდან ავიცილოთ.

ამხანაგების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ პოლიტიკური წრეები არ არიან და თუ აქა-იქ მოიპოვებიან ისინი, არ სდგანან შესაფერ დონეზე. სატრანსპორტო ქვე განყოფილებამ შესაფერ ორგანოთა საშუალებით მიზნათ უნდა დაისახოს უახლოეს დროში გადასინჯოს ტრანსპორტში არსებული ყველა პოლიტიკური წრეები, რომ ცხოვრებაში გაატაროს რიცხვით ცოტა, მაგრამ ხარისხით მაღალი პოლიტიკური წრეების ჩამოყალიბება. ეს მოსახერხებელი იქნება მაშინ როდესაც წრეს ეყოლება მომზადებული ხელმძღვანელი.

აღსანიშნავია აგრეთვე ლიტერატურის უქონლობა ადგილებზე და განსაკუთრებით ქართულის.

ჩვენმა უმაღლესმა ორგანომ ყურადღება უნდა მიაქციოს პარტიიდან გამორიცხულ ზოგი წევრების გამოყენებას. როგორ და რა ფორმით ამაზე საჭიროა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ჭ. შუშანია.

ქ. გორი

სადგურ გორში 26 ნოემბერს დაარსდა რკინის გზის კომიაჩეიკა ამხ. რუხაძის ხელმძღვანელობით. არჩეულია მდივანი და პასუხისმგებელი მდივანი, კორესპონდენტი და კომისია წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად. მაზრა პარტკომიდან მიმაგრებული ამხ. [illegible] ხელმძღვანელობით ყოველ კვირა ხდება კრებები. ამხანაგი აკოფებმა საყურადღებო მოხსენებებს. მასვე ხელმძღვანელობით ზოგიერთი წევრებიც აკეთებენ მოხსენებებს.

გაკეთებულია მოხსენებები: ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების შინაური მდგომარეობის, მიწის ახალი რეფორმის, ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლების ყრილობის, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შინაური პოლიტიკისა და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ. წევრების მხრივ გაკეთებულია მოხსენებები: სოციალურ დაზღვევის, პროფკავშირის კულტურულ მუშაობისა და სადგურ გორის მუშაობის შესახებ. წაკითხულ იქნა [illegible] კომუნისტურ ანბანიდან „სარწმუნოება და კომუნიზმი“. თუ რამდენად საინტერესოა კრებები და მოხსენებები ამის დამამტკიცებელია ის, რომ განუწყვეტლივ ესწრებიან კრებებს, როგორც ადგილობრივი აგრეთვე ხაშურიდან ჩამოსული ამხანაგები, იაჩეიკას წევრებს ევალებათ ყველაფერს ფხიზლად ადევნონ თვალყური. პირველ ყოვლისა მადლობას უხდით რკინის გზის მართველობას მაზე, რომ ის დიდ დახმარებას უწევს ჩვენ პატარა მოზარდ მოწაფეებს.

მ.

ეკონომიური ცხოვრება

— რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკთან არსებულ კურსის დამფასებელ კომისიის კურსი

ოქროს 10 მან. — — 5,000 მ.
სტერლინგი — — 3.950 მ.
დოლარი — — — 910 მ.
ოსმალური ქ. ლირა — 540 მ.
საბჭოთა ფულის ნიშნები—185 პრ.

„ჩემო“-ში

— საზოგადოება „ჩემო“-ს საბჭოს წარმომადგენლად არჩეულია მ. ნ. [illegible].

— საზ. „ჩემო“ მიიღო ქართული დივიზიის შტაბის და ცალკე საკავშირო გუნდის შეფობა.

— საზოგადოება „ჩემო“-ს საბჭომ გადაწყვიტა არა მიიღოს თხოვნები მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესახებ, რადგან 1923 წლის ხარჯთაღრიცხვაში არ არის შეტანილი მუხლი ასეთი ხარჯებისათვის.

დღემდე შემოტანილი ყველა თხოვნები გადაგზავნილია ჭიათურის შავ ქვის წვრილთა ყრილობის საბჭოში, რომელიც აწარმოებს შავ-ქვის მრეწველობის საერთო საქმეებს.

საარბიტრაჟო სასამართლომ, რომელსაც გადაეცემოდა ჰქონდა გადასაწყვეტად საკითხი სამუშაო ხელფასის და ფუთის ნივთ ადგილის შავ ქვის მტვირთავების ჯამაგირის ნორმის შესახებ, დაადგინა: გემის და ტვირთვის ნორმა 500 ფუთი, ვაგონიდან პლატფორმაზე გადმოტვირთვის ნორმა—750 ფ. და ვაგონის დატვირთვისათვის—650 ფუთი. სამუშაო ხელფასის ნორმა—32 საქონლის მანეთი, უზრუნველყოფითი ერთი თვით. კულტურულ-განმანათლებელ განყოფილების საჭიროებისთვის გადაირიცხება 1 ნახ. პროცენტი. მტვირთავთათვის გამოყოფილი უნდა იქნეს მტვირთავთა ვებია განსაკუთრებული ბინა.

— 1 თებერვლისათვის მოელიან გემს—„დ. ლევენ პარკ“-ს, რომელიც წაიღებს როტერდამში 5,000 ტონა ჩვენებურ შავ ქვას. ტვირთის ფირმები: ძ. ოგანეზოვი, ი. ზ. [illegible] და „კავკასიის შავი-ქვა“.

7 თებერვლისათვის მოელიან მეორე გემს—„მანიტოუსკ“-ს.

ქრონიკა

— **გერმანიიდან ინჟინრების ჩამოსვლა ჰიდრო ელექტრონულ სადგურის მოწყობის შესახებ.** გერმანიიდან ჩამოვიდნენ სიმენსის და გალსკეს წარმომადგენელი ინჟენ. რაიხარდი და ზილბორტი, რომლებმაც 26 იანვარს ქალ. პრეზიდიუმის წევრებთან ერთად დაათვალიერეს ზემო-ავჭალის ის ადგილი, სადაც შენდება ჰიდრო ელექტრონიული სადგური, ინჟინერები დიდი დაკვირვებით ათვალიერებდნენ სადგურის მდებარეობას და ნახეს, რომ მდებარეობა მეტად ხელშემწყობია სადგურის აგებისათვის. საერთოდ მუშაობით კმაყოფილნი დარჩნენ

საქალაქო აღწერის დამუშავების გარშემო.

საქ. სახ. კომისართა საბჭოს 25 იანვრის სხდომაზე დამტკიცებულ იქმნა სტატისტიკის ცენტრალურ სამართველოს მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა 30 ნოემბრის საქალაქო აღწერის დამუშავებისათვის. მთელი [illegible]

მოსამზადებელი მუშაობა დამუშავებისათვის თითქმის დამთავრებულია სტატ. ცენტ. სამმართველოს მიერ. 3 თვის განმავლობაში დამუშავებისა შედგენილია, განხილულია [illegible] და დაიგზავნა ყველა უფროსებს და დაინტერესებულ დაწესებულებებისათვის [illegible] წელი შეიცავს 30 სამ-პროგრამო ცხრილს, ამათგან ძირითადი დამუშავებისათვის იქნება 14 ცხრილი, ხოლო მოსახლეობის დამუშავებას ბინებთან და კავშირებით—16 ცხრილი. ცალკე იქნება დამუშავებული ბინები და მოსახლეობანი, პირველისათვის შემუშავებულია 6 ცხრილი, ხოლო მეორესთვის 4 სხვა და სხვა ცხრილებით. ცალკე იქნება დამუშავებული აგრეთვე საჯარო-სამრეწველო დაწესებულებანი, 13 ცალცალკე პროგრამით. პროგრამასთან დაკავშირებით დამზადებულია დამხმარე მასალები, შემუშავებული ეროვნებათა, ენათა, [illegible] ლების და სამრეწველო დაწესებულების სიები, ინსტრუქციები მასალების დამუშავებისა, კრიტიკისა და გადარჩევისათვის და სხვა.

დამუშავებისათვის აგრეთვე მოწყობილია სპეციალურად ცალკე შენობა, სათანადო შტატიც უკვე სდგება და პირველ თებერვლიდან სამმართველო შეუდგება დამუშავების საქმეს. დამუშავების დაჩქარების მიზნით მუშაობა იწარმოებს ორ წყებად დილით 9—3 საათ. და საღამოთი 5 ნახ.—9 ნახ. საათ.

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში

— **ხელშეკრულება.** ს. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობასთან დასდო ხელშეკრულება მისცეს 400 ვაგონი ხე-ტყის სამშენებლო მასალა რომლის დამზადება უკვე სწარმოებს და დასრულდება მაისის შუა რიცხვებში.

— **დახმარების მიზნით,** ს. უმ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსებულ იქნეს საგანგებო საფონდო კომისია, რომლის მიზანია დახმარება გაუწიოს განყოფილებებს და ტრესტებს, რომლებიც საჭიროებენ საბრუნავ თანხებს და უკანასკნელი არ მიუღიათ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის დროს.

ქალაქის აღმასკომში.

— **ბარამიანცის საავადმყოფო.** ყოფილ ბარამიანცის საავადმყოფოს მდგომარეობის გამოკვლევის შემდეგ აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა, გადიდებულ იქნას ყოველდღიურად მაზუთის ნორმა 20-დან 150 ფუთამდე, წინადადება მიეცეს საფინანსო განყოფილებას, დამატებით აძლიოს სათბობი მასალისთვის ჯანმრთელობის განყოფილებას 25 მილიონი მანეთი დღიურად, აგრეთვე აღძრულ იქნას შუამდგომლობა ეკაში და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა აღნიშნულ საავადმყოფოსთვის აღმასკომს მიეცეს სასურსათო სახალხო კომისარიატის ფონდიდან ნისიათ [illegible] და ნარმა.

— **ელექტრონის ენერგიაზე ფასები.** პრეზიდიუმმა დაადგინა, ელექტრონის ენერგიაზე მიმდინარე წლის 1 იანვრიდან, დაწესებულ იქნას შემდეგი გადასახადი, საქონლის მანეთის კურსის მიხედვით კილოვატისადმი: 1) საცხოვრებელ ბინებში—15 კ. 3, 2) სახელმწიფო სამეურნეო დაწესებ. 20 კაპ., 3) საბჭოთა დაწესებულებებში (არა სამეურნეო ხასიათის) და ადმინისტრატიულ დაწესებ.—15 კ. კერძო სამრეწველო-სავაჭრო დაწესებულებებში 25 კ. 3.

— **ტრამვაის სამგზავრო ტარიფის გადიდება.** პრეზიდიუმმა დაამტკიცა კომუნისტურ კოლეგიის დადგენილება ტრამვაის ბილეთებზე ფასების აწევის შესახებ, რომელიც ძალაში შედის 27 იანვრიდან.

— **ვალების შესახებ.** პრეზიდიუმმა დაადგინა, ყველა ძველი ვალები, რომლებიც ამ თვის ბოლომდე არ იქნება შემოტანილი აღმასკომში, 1 თებერვლიდან გადახდეთ საქონლის მანეთის კურსის მიხედვით. 1 თებერვლიდან ყოველგვარი საფინანსო ოპერაციები წარმოებულ იქნას საქონლის მანეთით.

მიწათ-მოქმედების კომისარიატში

— **წყალსადენის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა** მუშავდება პროექტი და ხარჯთაღრიცხვა სკრის მამულის წყალსადენის. გამოანგარიშებულია, რომ წყალსადენს შეუძლია მისცეს დღე და ღამეში 25 0 ვედრო.

— [illegible] საქართველოს, აზერბაიჯანის, აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკების საზეითლო ორგანიზაციების გაერთიანების აუცილებლობის გამო, საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის მიწადმოქმედების კომისარიატის საზეითლო სასანიტარო განყოფილებამ მიმართა შუამდგომლობით ხსენებულ რესპუბლიკების მიწად-მოქმედების კომისარიატებს თავიანთი წარმომადგენლების გამოგზავნის შესახებ თათბირზე ქალაქ ტფილისში მიმდინარე წლის 20 თებერვლისათვის.

ამ.-კავ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატში

— **ტელეგრაფის და ტელეფონის ხაზების შეკეთება** ამა წლის იანვრის განმავლობაში ამიერ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ტექნიკურ მართველობის მიერ შეკეთებულია ტელეგრაფის და ტელეფონის ხაზები 49 ნახ. ვერსის და მავთულები 148 ვერსის მანძილზე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე

— **რკინის გზის დაცვის დარგის რეორგანიზაცია** ამიერ კავკასიის რკინის გზების დაცვის დარგში მიმდინარე წლის 1 იანვრიდან მოხდა რეორგანიზაცია და მას ევალება მხოლოდ დაცვა რკინის გზის ნაშენობების, ხიდები, წყალსადენები და სხვა... უბილეთოდ მგზავრობასთან ბრძოლა, მატერიალურ საწყობების და ნავთსადენების დაცვა გადაეცა რკინის გზათა [illegible] სათანადო დარგებს.

კრებები და მოხსენებები

— **ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოება** ხვალ ოთხშაბათს 31 იანვარს საღამოს 7 ნახ. საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ შენობაში (ნე-15 აუდიტორია) დანიშნულია საზოგადოების საერთო კრება. დღის წესრიგში მოხსენებანი: 1) პროფესორ ალექსანდრე ჯავახიშვილის: „კავკასიის მოსახლეობა ანტროპოლოგიური თვალსაზრისით“ (დიაპოზიტივების დემონსტრაციით) 2) ექიმი დავით იოსელიანი: ოპერაციის მეთოდები პლევრის, დიაფრაგმის და ზედმუცელის არეში დაჩირქების დროს“ (გამოკვლევა [illegible]).

სხვა და სხვა.

— **„წითელი ფლოტის კვირეული“** საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტების ცენტრ. კომიტეტის დადგენილებით ამა წლის 1-დან 8 თებერვლამდე მთელ საქართველოში იმართება „წითელი ფლოტის კვირეული“. კვირეულის მიზანია, ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს წითელ ფლოტს და მშრომელ მასებს გააცნოს მნიშვნელობა წითელი ფლოტის. ამის გამო სრ. საქართველოს პროფკავშირების საბჭომ (ცირკულარული წინადადებით) დაუგზავნა საქართველოს, დაბა-ქალაქების და აფხაზეთის, აჭარისტანის, და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკების პროფკავშირებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ სამზადისს, რათა ეს კვირეული ჩატარდეს მთელ საქართველოში ბრწყინვალეთ.

— **24 იანვარს.** სადგურის მახლობლად ვპოვე საათი, რომელიც ჩავაბარე ადგილობრივ ადმინისტრაციას. პატრონს შეუძლია მიმართოს [illegible] ქ. № 94—ნისტორ. ს. აფრიდონიძეს.

დღის თეატრები.

— სახალხო სახლი—ჩემი ბები, გლაგოლინას და ვალერსკის მონაწილეობით. საბჭოთა თეატრი—კინო. რუსთაველის თეატრი—„მზის დაბნელება საქართველოში“ [illegible]

წითელი პოეტი

მე წითელი პოეტი ვარ ცეცხლის რაშით მქროლველი,
სულ სხვა არის ჩემი მუზა, ჩემი სიტყვა სიყვარული,
ხელთ მიპყრია ბრძოლის ქნარი ბრძოლის ჰიმნზე მომართული,
[illegible] მე სიმღერა, აჯანყებას ხმა გწირული.

სულ სხვა მაქვს მე იდეალი, სხვა მიზანი დასახული,
მიყვარს მხოლოდ მშრომელთ კერა, მიყვარს მუშა და ჩაგრული,
მე ცხოვრების [illegible] ვარ, ჩაგრულთ წრიდან გამოსული,
რომ დავანთო ბრძოლის ცეცხლი, ქვეყნად მისთვის ვარ მოსული.

ცეცხლის რაშით მე მოვქროლავ ყოველ ქვეყნის კიდით კიდე,
მთელ მსოფლიოს შესაერთად მე წითელი გავდე ხიდი,
აჯანყების მძლავრი დროშა ცეცხლის ალში გადმოვკიდე,
და ჩაგრულნი მჩაგვრელებთან სასიკვდილოთ გადავკიდე.

მეც ამ ომში ვიმყოფები, მას წამითაც ვერ დავტოვებ,
გმირულ ჰანგებს ჩემს სიმღერას [illegible] და შიგ ვქარგავ,
კაპიტალის სიმაგრეზე მკაცრ შეტევებს ვეწარმოვებ,
და მრწამს მტერთან გამარჯვებას მხოლოდ ბრძოლით მოვიპოვებ.

მაღლა ვიწევ ჩვენს წითელ დროშას, ჩვენს ემბლემას-ჩაქუჩ ნამგალს,
ის წინ უძღვის მთელ მსოფლიოს აჯანყების მთავარ სარდალს,
ის თავს უყრის მის გარშემო ყველა ერის ჩაგრულთ მონებს
და გადამწყვეტ შეტევისთვის რაზმავს მრავალ მილიონებს.

ბრძოლით თავზარ დაცემული, კაპიტალი მწარედ ჰკივის,
ჰგრძნობს ხანმოკლე არსებობას, შველას ეძებს, ხანზედ ჰყვირის,
უკვე ესმის მას ქუხილი ხმა წითელი მძლევრ არწივის,
ოქტომბრის მოახლოვებას ევროპაში რომ გაჰკივის.

მიტომ არის მან რომ დაჰმო ძველი ბრძოლის გზა დაცდილი,
ხელთ აიღო დიქტატურის სამოქმედო მან მახვილი,
მაგრამ იმათ ასე ვეტყვი [illegible]:
ფრთხილად! ხედავთ? უკვე მოჩანს თქვენი დაღუპვის აჩრდილი.

მე წითელი პოეტი ვარ! ვანთებ წითელ ბრძოლის ალებს!
რა ვუყო რომ მე ამას [illegible], დრო მაკისრებს დიდ მოვალეობს!
ბრძოლას ვეტრფი, ბრძოლა მიყვარს, ბრძოლას მუდამ ვაწარმოვებ,
რადგან ვიცი გამარჯვებას მხოლოდ ბრძოლით მოვიპოვებ.

ა. ხუფელი.

პროვინციაში

ზუგდიდის აღმასკომის განათლების განყოფილების მუშაობა

1922 წლის დასაწყისისათვის ზუგდიდის მაზრაში ირიცხებოდა 141 შრომის სკოლა და 3 ტექნიკუმი—495 მასწავლებლით და 86 დამლაგებლით. 1922 წლის იანვრიდან სკოლების შემცირებისა და შტატების შემოკლების გამო მთელს მაზრაში დარჩა მთლად 116 შრომის სკოლა და 3 ტექნიკუმი 326 მასწავლებლით. ხოლო ამავე წლის ენკენისთვიდან დახურა კიდევ ორი ტექნიკუმი, მაგრამ განათლების განყოფილების შუამდგომლობის შემდეგ ერთი მათგანი ისევ იქნა გახსნილი სოფ. ხეთაში, მასწავლებელთა შტატი კი იგივე 326 დარჩა.

ამ რიგად, დაიხურა 26 სკოლა და დარჩა შტატს გარეშე 169 მასწავლებელი და ყველა 86 დამლაგებელი. ამ დანარჩენ სკოლათა საერთო რიცხვიდან 49 სკოლაში, სადაც ირიცხება ოთხ ოთხი ჯგუფი და სამოციდან ას ოცამდე მოწაფე, დარჩა მხოლოდ თითომა მასწავლებელი, ზოგიერთ [illegible] სკოლაში 6—7 ჯგუფით 200 200-დე მოწაფით დარჩა 2—3 მასწავლებელი და სრულ კომპლექტიან 8 ჯგუფში 250-დან 300-დე მოწაფით დარჩა 5—6 მასწავლებელი.

ვინაიდან ეს რიცხვი სკოლებისა და, მით უფრო, მასწავლებელთა რაოდენობა სრულიად ვერ აკმაყოფილებდა მაზრას, განათლების განყოფილებამ აგიტაციის და სხვა კულტურული საშუალებებით ხელი შეუწყო, რომ ზოგიერთ შეძლებულ თემებს საკუთარი ხარჯით გაეხსნა სკოლები და [illegible] მეტი მასწავლებლები. ამის შედეგად გაიხსნა 8 სკოლა და იქნა დაქირავებული 19 მასწავლებელი თემების ხარჯზე. [illegible] 1923 წ. 1 იანვ[illegible]რისათვის ზუგდიდის მაზრაში არის სულ 124 სკოლა; მათ შორის: 2 ტექნიკუმი, 15 სრულკომპლექტიანი (ოთხ ჯგუფით), 16 არასრულკომპლექტიანი (6—7 ჯგუფით) და 91 სკოლა 4—4 ჯგუფით.

ყველა ამ სკოლებში ირიცხება სულ 1 856 მოწაფე ორივე სქესის და 345 მასწავლებელი, მათ შორის 15 მაღალი განათლებით, 107 საშუალო განათლებით და 223 დაბალი განათლებით. ამათგან [illegible] დაჯამაგირებით 3:6 მასწავლებელს, მაზრის აღმასკომი [illegible] განათლების განყ. და ქალაქის ფონდებში არსებულ სკოლათა დამლაგებლებს და ტექნიკუმის მომუშავეებს, რიცხვით 10 კაცი. ხოლო დარჩენილი 8 სკოლა და 19 მასწავლებელი ინახებიან ადგილობრივი თემების ხარჯზე.

გასულ საანგარიშო წლის დამლევს აღძრა შუამდგომლობა სახალხო განათლების კომისარიატის წინაშე, რომ ამა წლის დასაწყისიდან მიეცეს ზუგდიდის მაზრას კიდევ 83 მასწავლებლის შტატი, მაგრამ კომისარიატმა, სამწუხაროდ უარით უპასუხა და ამ რიგად სკოლათა უმრავლესობა მასწავლებელთა რიცხვის მიხედვით ისევ არა ნორმალური პირობებში დარჩა.

ამ საანგარიშო წლის განმავლობაში მეტად ინტენსიური მუშაობა სწარმოებდა სკოლების შეკეთებისა და ახალი შენობების აგებაში. 1922 წლის 1 იანვრიდან 1923 წლის 1 იანვრამდე შეკეთებულ იქნა 35 სკოლის შენობა, ხოლო ახლები იქნა აგებული—არასრულკომპლექტიანისათვის (1—4 ოთახი) 25 შენობა [illegible] (8

ამ აზრით მდგომარე წლის დასაწყისშივე მთავარ სამართველოსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია ტექნიკუმების გადაჯგუფებისა და მათი რიცხვის შესაცირებლად რესპუბლიკაში. თითქმის მთელი ზაფხული მუშაობდა კომისია ამ საკითხზე. შედეგად ამ მუშაობას მოჰყვა შედეგი: 1922-23 სასწავლო წლის დამდეგისათვის რესპუბლიკაში არსებობდ:

ა) ტფილისში—23 ტექნიკუმი, ნაცვლად წინანდელი 29 სა

ბ) პროვინციაში—31 ტექნიკუმი, ნაცვლად წინანდელი 62, რომელთა უმრავლესობაც ჰუმანიტარული ტიპისაა

ტექნიკუმების გადაჯგუფების და შემცირების პროცესმა შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა: დაკეტილ ტექნიკუმების მოსწავლეთაგან თითქმის არავინ არ დარჩენილა სკოლის გარეთ და ყველანი მოთავსებულ იქნენ დატოვებულ ტექნიკუმებში, სადაც გაიხსნა პარალელები. მასწავლებელთაგანაც უადგილოდ დარჩა მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვი, უმრავლესობა კი დატოვებულ ტექნიკუმებში მოეწყო. სამაგიეროდ ტექნიკუმების გადაჯგუფებამ და მათი რიცხვის შემცირებამ დიდი სარგებლობა მოიტანა: მან შეძლება მისცა მთავარ სამმართველოს თავისი თანხით უფრო მეტი დახმარება გაეწია დატოვებულ ტექნიკუმებისთვის, ესე იგი უფრო უკეთ ეზრუნველყო ისინი და იდეიურ ხელმძღვანელობისთვის მეტი ყურადღება მიექცია.

პროგრამების და სასწავლო გეგმების შედგენა-გამოცემა ტექნიკუმებისათვის. პროფესიონალური განათლების მთავარმა სამმართველომ 1921 წელს მოაწყო შედგენა და გამოცემა მხოლოდ ჰუმანიტარული ტექნიკუმების პროგრამების და სასწავლო გეგმებისა და განაწილება სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიალ ტექნიკური ტექნიკუმების კვირეული გაკვეთილების და სასწავლო საგნებისა, რაიცა თავის დროზე დაეგზავნა ტექნიკუმებს და სახალხო განათლების განყოფილებებს. მაგრამ ჰუმანიტარული ტექნიკუმების სასწავლო გეგმები და პროგრამები არ აღმოჩნდა საკმაოდ დამაკმაყოფილებელი და მათი გადამუშავება და გამოცემა მორიგ საკითხად გადაიქცა მთავარ სამმართველოსთვის.

ამას გარდა საჭირო იყო პროგრამები ინდუსტრიალურ ტექნიკურ სასოფლო-სამეურნეო და პედაგოგიური ტექნიკუმებისთვის ც. იმავე ზაფხულს შესდგა ორი სპეციალური კომისია, რომელთაც უკვე შეასრულეს დიდი ნაწილი მუშაობისა და რომელნიც აკადემიური წლის დამლევისთვის სრულიად დაამთავრებენ ზემო აღნიშნულ გეგმებისა და პროგრამების შედგენას.

ტექნიკუმების გადაჯგუფებამ და შემცირებამ შესაძლო გახადა შედგენა პედაგოგიურ-პერსონალის ნორმალური შტატებისა 1 კომპლექტიან 2 და მრავალ-კომპლექტიან ტექნიკუმებისათვის, რაც თავის დროზე დაეგზავნა ტექნიკუმებს და სახალხო განათლების განყოფილებებს.

ქონებათა განაწილება სასწავლებელთა შორის. გიმნაზიებიდან ოთხი კლასის გამოყოფამ და მათგან შრომის სკოლის შექმნამ გამოიწვია განაწილება სადგომების და სხვა ნივთების და მოწყობილობებისა ტექნიკუმებს და შრომის სკოლებს შორის. საჭირო იყო ყველა ამის გამოყოფა ისე, რომ არც უთანხმოება მომხდარიყო და ორივეს მოთხოვნილებაც დაკმაყოფილებულიყო. ეს რთული საქმე ამ ჟამად უკვე დამთავრებულია. ყველა ტექნიკუმი და შრომის სკოლა სათანადოდ მოთავსებულია, ქონება მათ შორის გაყოფილია და არავითარ უთანხმოებას ამ მხრივ ადგილი არა ჰქონია. ამ ბოლო დროს სასკოლო შენობები მეტად ანტისანიტარულ და საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდნენ: სახურავი [illegible] იმდენით მოქალაქე, [illegible] ლი ქონდა, შეირყვა კედლები ცვივა, იატაკი ლპება. ბევრ ფანჯარაში მინები ჩამტვრეულია. საჭირო იყო საფუძვლიანი რემონტი. ამ თანხას წაიღებდა მიმდინარე ხარჯები: წყლის და განათების ფასი, საკანცელარიო ხარჯი და სხვა.

გადასახადი ტექნიკუმების ხარჯებისათვის. რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის გამო ხაზინას არ შეეძლო ყველა აღნიშნულ ხარჯის დაფარვა, თუმცა ცენტრი ამისთვის ზრუნავდა მისგან დამოკიდებულ ყოველ ღონისძიებით, ამიტომ განათლების კომისარიატმა ჯერ იმავე შარშან შემოიღო, როგორც დროებითი ზომა, ერთდროული შესატანი მიმდინარე სამეურნეო ხარჯების დასაფარავად: ტექნიკუმში—10 000 მანეთი, უმაღლეს სასწავლებელში—20 000 მანეთი. ეს შესატანი სავალდებულო იყო შეძლებულ მოწაფეთათვის. გამოც მიღებულ იქნა წესები, სადაც გამორკვეული იყო ვინ თავისუფლდება ამ შესატანისაგან და ვინ არა. საზოგადოდ კი, მიღებულ იქნა ყოველი ღონე, რომ ღარიბები და ხელმოკლე მოწაფე განთავისუფლებულიყო ამ შესატანისაგან.

სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმები. პროფესიონალური განათლების მთავარმა სამმართველომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რესპუბლიკის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმებს, რომლებიც საანგარიშო წლის მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. თუ სხვა ტექნიკუმები უფულობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიდენ, უარეს მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყვნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები, რომელთაც განსაკუთრებული შინაგანი ორგანიზაციის წყალობით, გაცილებით მეტი თანხა სჭირიათ, ვიდრე პირველი კატეგორიის ტექნიკუმებს. ზაფხულის დასაწყისშივე სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმებისაგან ქალაქდი—ქალ [illegible] და კარგი ჯიშის საქონელი, საცდელი და სხვა კულტურული ადგილები დაუმუშავებელი რჩებოდა, სადგომები ინგრეოდა, ინვენტარი ცვდებოდა. კომისარიატს თანხა არა ჰქონდა, ამიტომ ამ ტექნიკუმების უმრავლესობის შუამდგომლობანი დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. ასეთმა მდგომარეობამ მთავარი სამმართველო მიიყვანა იმ აზრამდე, რომ ესეც ისევე მოქცეოდა, როგორც სხვა ტიპის ტექნიკუმებს მოექცა, ესე იგი მოეხდინა სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმების გადაჯგუფება და შემცირება. ამიტომ მთავარმა სამმართველომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებიდან დასტოვა მხოლოდ თბილისის და ქუთაისის ტექნიკუმები, დანარჩენი კი დაბალი ტიპის სასოფლო სამეურნეო სკოლებად გადააკეთა (ლანჩხუთისა და წინამძღვრიანთკარის სასწავლებლები).

შეთანხმება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან. ამ კომისარიატთან შეთანხმებით, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების სამეურნეო საადმინისტრაციო მმართველობა გადაეცა მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატს, რომელიც იხდის საჭირო თანხას აღნიშნული სასწავლებლების შესანახად. განათლების სახალხო კომისარიატს ხელთ დარჩა კონტროლი სასწავლებლებისა, აღმზრდელობითი ნაწილი, დანიშვნა და დათხოვნა პედაგოგიური პერსონალისა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით და პედაგოგიური პერსონალის შრომის ჯამაგირის გასტუმრება:

უმაღლესი სკოლა. პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველო, უპირველესად რა აქვს ანგარიშში, ერთის მხრით, იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვს უმაღლესი სკოლის დაპყრობას და, მეორე მხრით, პროფესორების კონსერვატიზმს და, წითელი პროფესორების საკმაო რიცხვის [illegible] მიუდგა უმაღლესი სკოლის რეფორმის საკითხს.

მუშაობა სხვა და სხვა გზით სწარმოებდა. ასეთი გზები იყო:

1) რეფორმა პროგრამებისა მათი დაახლოვება პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებებთან, სპეციალიზაცია ცალკე ფაკულტეტებისა და გადასვლა სამწლიან კურსზე (გარდა საექიმო ფაკულტეტისა, სადაც დატოვებულ იქნა სწავლების 4 წლის კურსი და ერთი წელიწადი კლინიკებში მუშაობა).

2) შეყვანა სტუდენტთა წარმომადგენლებისა უმაღლესი სკოლის ადმინისტრატიულ ორგანოებში.

3) უმაღლეს სკოლასთან მუშათა ფაკულტეტის შექმნით, განაწილება როგორც პროფესორისა, ისე სტუდენტობისა ორ ჯგუფად: ა) რეფორმის მომხრედ და ბ) რეფორმის მოწინააღმდეგედ.

4) სტუდენტობის გაწმენდა სპეკულიანტებისა, უსაქმურებისა და საბჭოთა ხელისუფლების აქტიურ მოწინააღმდეგეთაგან.

მიუხედავათ პროფესორთა ნაწილის ყრუ, მაგრამ მედგარი ბრძოლისა და აგიტაციის, 1922 წლის დამლევ საათვის შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც შესაძლებელი გახდა ძირითადი რეფორმის დაწყება და მუშათა და გლეხთა ხელისუფლებასთან ურთიერთობის საქმეში სკოლის „ავტონომიის“ გაუქმება:

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რადგან მიღებულ იქნა მასალა ეკონომიური ფაკულტეტის რეორგანიზაციისა ინსტიტუტში (სადაც მუშაობა ამ მხრივ 5 წელიწადი სწარმოებდა), შესაძლებელი გახდა ეკონომიური ფაკულტეტის გარდაქმნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტად. ამავე დროისთვის გამოირკვა, უპარტიო პროფესორთა წრიდან ვის შეიძლ[illegible]ბისა. რომელთაც შეუძლიათ იკისრონ უფრო პასუხსაგები კურსების კითხვა.

ცალკე მუშაობებიდან უმაღლეს სკოლაში აღვნიშნავთ შემდეგს:

1) სახელმწიფო უნივერსიტეტთან მოეწყო ახალი ფაკულტეტები პოლიტექნიკური და სოციალ-ეკონომიური;

2) განსაკუთრებული კომისიის მიერ გადათვალიერებულ იქნა დღეისათვის რესპუბლიკაში არსებულ საფერშლო სკოლებისა. კომისიამ მიზანშეწონილად ვერ სცნო არსებობა ამ სკოლებისა და დაადგინა, 1923 წლის პირველი იანვრიდან დაიხუროს ეს სკოლები, ხოლო მათ მოწაფეებს მიეცეთ შეძლება სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე შესვლისა, რისთვისაც ამავე კომისიამ შეიმუშავა განსაკუთრებული პროგრამები (ეს პროგრამები თავის დროზე დაეგზავნა უნივერსიტეტს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და თვით საფერშლო სკოლებს).

3) იმავე სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდა მუშათა ფაკულტეტი. მის ორგანიზაციაზე კომისარიატმა მთავრობისაგან გამოითხოვა კარგა დიდი თანხა, რამაც შეძლება მოგვცა თვალსაჩინოდ მოგვეწყო მუშათა ფაკულტეტი ინტენსიური მუშაობის საწარმოებლად.

4) ხაზინიდან გამოთხოვილ იქნა თანხები: ა) საზღვარ-გარეთ სამეცნიერო აზრით უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილ ახალგაზრდა პროფესორების დასაბრუნებლად; ბ) სამეცნიერო ექსპედიციის გასაგზავნად ატენში (გორის მაზრა); გ) სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კაბინეტების, ლაბორატორიების და სხვა დაწესებულებათა მოსაწყობად.

[illegible]

პოლიტექნიკური ინს[illegible] მეტად მძიმე პირობები პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ამისი მიზეზი არის ის, რომ ინსტიტუტს არა აქვს ცალკე სპეციალური შენობა და არ მოეპოვება აგრეთვე თანხა სალაბორატორიო და პრაქტიკულ მუშაობათა მოსაწყობად.

მუშათა ფაკულტეტის მოწყობა და პროფესიონალურ ტექნიკური განათლების გავრცელება მუშებსა და გლეხებს შორის 1921 წელს. მუშათა ფაკულტეტის ორგანიზაცია დაიწყო პირველი ივნისიდან. 16 აგვისტომდე სწარმოებდა მოსამზადებელი მუშაობა: შედგენილ იქნა სასწავლო გეგმები და დებულებები, შემუშავებულ იქნა შრომის დაჯილდოების ნორმები და ხარჯთ-აღრიცხვები. სექტორის მუშაობის გეგმა შემუშავებულ იქნა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა კულტურის განყოფილებასთან ერთად შემდეგი პროგრამით:

1) ორგანიზაცია მუშათა ფაკულტეტისა სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან;

2) ორგანიზაცია სხვა და სხვა სახის ტექნიკუმებისა;

3) ორგანიზაცია ფაბრიკა ქარხნების შეგირდობის სკოლებისა;

4) ორგანიზაცია სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა კურსებისა გლეხებისთვის.

[illegible] მუშების გადაუდებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად განზრახული იყო სხვა და სხვა სპეციალობის კურსების დაარ[illegible]

[illegible] ხების ინსტიტუტის საინჟინრო და სასოფლო-სამეურნეო განყოფილებებზე შემდეგ გახსნილ იქნა ჩაწერა მუშათა ფაკულტეტში 198 მსმენელი, პროფესიონალურ კავშირთა წევრი და წითელ არმიელი, რომელთაგან 40 პროც. მომავალი შემოდგომისათვის უკვე მზათ იქნება პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველ კურსზე შესვლად. მუშათა ფაკულტეტის [illegible] მიღებულ იქნა კიდევ 260 კაცი. მუშათა ფაკულტეტის სტუდენტები განსაკუთრებული ნდობით ეპყრობიან მეცადინეობას. მუშათა ფაკულტეტში თანამშრომლობდა 41 ლექტორი, აქედან 37 პროც. პროფესორთა წრიდან იყო;

2) სექტორის მუშაობა რკინის გზის მუშებს შორის გამოიხატა კურსების დაარსებით რკინის გზის აგენტებისათვის (მთელი შტოსთვის თბილისიდან ბათომამდე)

[illegible] მოეწყო 12 მოკლე ვადიანი კურსი მრეწველობის სხვა და სხვა დარგისა, რომლებშიც სწავლობდა ორასი კაცამდე. სექტემბერში კიდევ გაიხსნა 1 პროფესიონალური სკოლა, ოქტომბერში კურსები (3); საერთოდ ყველა ამ კურსებზე ითვლება 342 კაცი. ნოემბრისათვის უკვე 80 კაცი იყო კვალიფიციური მუშათა კურსებზე მოსამზადებელი;

3) სექტორმავე გახსნა კურსები კოოპერაციულ [illegible] კავშირისათვის: ა) ცეცხლის ქრობის საქმის ინსტრუქტორობისა 16 კაცისათვის; ბ) [illegible] პირველ ლითონის ქარხანასთან 91 კაცისათვის.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

1-ლ საბჭოთა საავათმყოფოში.

მიმდინარე წლის 27 იანვარს ადგილობრივ კლუბის დარბაზში მოწვეულ იქნა 1-ლი [illegible] მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება.

კრების დღის წესრიგის უმთავრესი საკითხი იყო ადგილკომის ანგარიში და მისი გადარჩევა.

საკითხის შესახებ მომხსენებლად გამოვიდა ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. მაკაროვ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კულტურულ განმანათლებელი მუშაობა შეადგენდა ადგილკომის მოღვაწეობის უმთავრეს დარგს.

საანგარიშო დროის განმავლობაში აღნიშნულ დარგში გაკეთდა შემდეგი: გახსნილ იქნა სკოლა რუსულ და ქართულ ენაზე, რისი შემწეობით შესაძლებელი შეიქნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის წარმოება.

ერთ-ერთი თავისუფალი და საკმაოდ [illegible] გადაკეთებულ იქნა კლუბათ სცენით, სადაც იმართებოდა სხვადასხვა წარმოდგენები. კლუბის და სცენის მოსაწყობი საჭირო საშუალებები ადგილკომმა [illegible] შემდეგ [illegible]: [illegible] იქნა [illegible] მიზეზების გამო [illegible]; გადარიცხულ იქნა ამ საჭიროებისთვის ის თანხები, რომელიც გროვდებოდა ადგილობრივ საავათმყოფოში მუშა-მოსამსახურეთა [illegible] ჯარიმის სახით; მიღებულ იქნა აგრეთვე ის თანხა, რომელიც გროვდებოდა [illegible] ჯამაგირის დარიგების დროს წვრილი ფულის ნიშნების მიცემის შეუძლებლობის გამო და სხვა. სულ შეგროვილ იქნა 22 მილიონი მანეთი.

კლუბის გარდა, მოწყობილ იქნა წიგნთსაცავი, სადაც მოიპოვება 100-დე ცალი წიგნი; გამოწერილია გაზეთებზე კოლექტიური ხელის მოწერა, რის გამო ამ ჟამად მუშა-მოსამსახურეთა [illegible] 44 ცალი ყოველდღიური გაზეთი სხვადასხვა ენაზე.

მუშა-მოსამსახურეთა შვილთათვის მოწყობილ იქნა „შობის ხე“, რისთვისაც საშუალება გამონახულ იქნა შემდეგნაირად: ადმინისტრაციამ და პროფკავშირმა გაიღეს ხუთ-ხუთი მილიონი მანეთი და ადგილკომმაც დაუმატა თავისი ფული 1 მილ. ნახევარი. ამ თანხით მოეწყო ბავშვთათვის „შობის ხე“-ც და [illegible] უკანასკნელი [illegible] ერთი ფუნტი [illegible] და სხვა [illegible], რომელიც გაიგზავნა ქუჩის ბავშვთა სახლის სასარგებლოდ. დასასრულ, ადგილკომის ყოველი დადგენილების მუშა-მოსამსახურეთათვის გასაცნობათ, გამოჩენილ ადგილზე [illegible] დადგმულ იქნა [illegible] დაფა — [illegible], რომელზეც იკვრება ადგილკომის დადგენილებები და განცხადებები.

გადადის რა შემდეგ ადგილკომის [illegible] ეკონომიურ დარგში, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ მხრივაც გაკეთებულ იქნა ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი [illegible] ეკონომიური [illegible] ხანაში. მუშა-მოსამსახურეთა [illegible] გასაუმჯობესებლად ზოგიერთ მათთვის [illegible] კატეგორიები; [illegible] კოლექტიური ხელშეკრულება; ადმინისტრაციისა [illegible] გარანტიის ქვეშ მოწყობილ იქნა პურის დარიგება, რომლის [illegible] მუშა-მოსამსახურეებს [illegible] ჯამაგირიდან; მოწესრიგებულ იქნა აგრეთვე ზედმეტი მუშაობის საკითხი და სხვა.

[illegible] შემდეგ გამართულ [illegible] გამოირკვა, რომ [illegible] ადგილკომის [illegible], რომელშიც [illegible] მუშაობა ადგილკომს, კრებამ ხმის უმეტესობით გამოიტანა [illegible] რეზოლუცია და [illegible] ახალი ადგილკომი იმ სიით, რომელიც წარმოადგინა პროფკავშირის წარმომადგენელმა. კულტ. მუშაობის [illegible] ადგილკომის [illegible] ბაში [illegible] კავშირის მიერ გამოგზავნილი სპეციალისტი.

[illegible]—კორესპონდენტი მერ.

მუშა თავის ბინაზე.

მუშათა სახლი, რომელიც სამი სართულის სიმაღლით გადმოიყურება რუსთაველის ქუჩაზე № 16, დაკავებული აქვს [illegible] მომუშავეთა კავშირის წევრებს, რომელნიც მოთავსებულნი არიან 40 ოთახში. სულ აქ მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 100 სულს,—რის გამო თითო ოთახზე საშუალოთ მოდის 2 კაცი. ამნაირათ ოთახების სივრცე საკმაოდ დაკმაყოფილებელია. განიერი ფანჯრები უხვად უშვებენ სინათლის და მზის სხივებს. კედლები მაღალი, სუფთა და მშრალია უმეტეს შემთხვევაში, თუმცა დაბალ სართულში რამოდენიმე ოთახი ვერ აკმაყოფილებს ჰიგიენურ და ტექნიკურ მოთხოვნილებებს.

გათბობა სწარმოებს შეშით, ყოველი ოჯახი ათბობს თავისთვის თუნუქის ღუმელებით. განათებაც [illegible] (ნავთით). [illegible] მუშებისა ვერ არის დაკმაყოფილებული. ხორციეული საჭმელი აქ ძალიან იშვიათია.

დასასრულ დროულად ვისურვებდი ქალაქის ადგილკომის ყურადღება მიექცეს რამოდენიმე ტექნიკურ დეფექტს: 1) სახლის ზოგიერთ ფანჯრებში [illegible], [illegible] ვერას გახდები, რასაც აქვს ადგილი ზოგიერთ ბინებში; 2) წყალსადენის [illegible] მუდამ [illegible], რაც იწვევს შენობის [illegible] და წყლის უთავბოლო ხარჯს; 3) საჭიროა აგრეთვე [illegible] შეკეთება; 4) ოთახების [illegible] გაიზარდოს, რომ მცირე შეკეთების ხარჯებს [illegible] რამოდენიმე გასავალი ოთახებს, რომლებიც ამ ჟამად უსარგებლოდ არის მიტოვებული, სათანადოთ შეაკეთებდნენ.

[illegible] კორესპონდენტი ა. ნ.

რას გვწერენ პროვინციიდან!

ქ. ზუგდიდის ცენტრალურ საავადმყოფოში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი აღემატება 40 კაცს. მათ შორის მუშები—25. აღნიშნული საავადმყოფო ემსახურება არა მარტო ცენტრს, ქ. ზუგდიდს, არამედ მთელ ზუგდიდის მაზრასაც. ამიტომ საავადმყოფოში მუშაობა წარმოებს დღე და ღამ განუწყვეტლივ, მართალია, მორიგეობით, მაგრამ ამ პირობებში მუშაობა აქ მაინც ძალიან დამღლელია და ძნელი.

მუშა-მოსამსახურენი მუშაობენ გულმოდგინედ. [illegible] ძლიერ ჩამორჩენილნი არიან კულტურულად. მათ შორის უმეტესობამ სრულებით არ იცის წერა-კითხვა, თუმცა მათ ამის დიდი სურვილი აქვთ. საჭიროა ადგილობრივი განათლების განყოფილებამ ამას მიაქციოს სათანადო ყურადღება და გამონახოს საშუალება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციით. საავადმყოფოში არ მოიპოვება არც ერთი წიგნი და არც გაზეთი მუშა-მოსამსახურეთათვის გაზეთების და ჟურნალების [illegible]. სამწუხაროთ, მუშა-მოსამსახურეთ არავითარი [illegible] არა აქვთ, ვინაიდან ისინი ღებულობენ ძალიან მცირე გასამრჯელოს—საშუალოდ ორ მილიონ ნახევარს თვეში და ისიც ორ-სამ თვის დაგვიანებით. თვით ქალაქ ზუგდიდში ამ ჟამად ცხოვრება არაჩვეულებრივად ძვირია. ფუთი სიმინდი ღირს 250.000 მანეთამდე, გირვანქა ყველი 200.000 მანეთი და სხვა. ამიტომ აღნიშნული საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურენი მოითხოვენ ცენტრისაგან უფრო მეტ ყურადღებას, რათა ცოტათი მაინც გაუმჯობესდეს მათი ეკონომიური მდგომარეობა.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ჯანმრთელობის კომისარიატისაგან სერიოზული ყურადღება, ვინაიდან ზუგდიდის საავადმყოფო არის ერთად ერთი და მთელი მაზრისათვის ფრიად მნიშვნელოვანი დაწესებულება.

მუშა კორესპ. შენგელია.

—10 [illegible] კომ-უჯრედებისათვის 12 [illegible] კომპლექტი [illegible] 10 ნომერი.

წლის განმავლობაში ადგილობრივ [illegible] სკოლების [illegible]—2 მილიონი მანეთი.

[illegible] 1 მილიარდი მანეთი.

გათბობისათვის—5 ნახევარი მილიარდი მანეთი.

და სასწავლებელთა ჯამაგირში 480 მილიონი.

საანგარიშო წლის განმავლობაში მასწავლებლები მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ [illegible], ვინაიდან თავის დროზე და სისტემატიურათ ვერ ღებულობდნენ იმ მცირე ჯამაგირსაც, რომელიც მათ ერგებოდათ ხაზინიდან. ამას გარდა მასწავლებლებს [illegible] ჯამაგირიდან ყოველ თვიური [illegible], მაგრამ არავითარი [illegible] ჯერ მათ არ მიუღიათ და [illegible] ვერ სარგებლობენ სათანადოთ.

[illegible] 1922 წლის ენკენისთვემდე [illegible] სკოლების [illegible] დათვალიერება [illegible] 40 [illegible] დათვალიერება. მაგრამ [illegible] განყოფილებამ [illegible] 2 საკუთარი [illegible] ინსტრუქტორებს საშუალება, რომ სკოლებისათვის [illegible].

1922 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ბოლომდე ინსტრუქტორებმა დაათვალიერეს 85 სკოლა. დაათვალიერების [illegible] მასწავლებლებს [illegible] ცენტრალური [illegible] მთავრობის დირექტივების თანახმად, აწყობდნენ კონფერენციებს რაიონებში და ჯგუფურ თათბირებს, სადაც ხდებოდა მთავრობის მიერ გამოცემული პროგრამების განხილვა და შესწავლა და ადგილობრივ პირობების შესაფერი პროგრამების გამომუშავება, ყველა სახნებში დაწვრილებითი მასალის [illegible], აგრეთვე [illegible], დიდაქტიური და პედაგოგიური საკითხების გარჩევა, შრომის სკოლის ძირითადი პრინციპების თანახმად.

ამავე საანგარიშო წელს განათლების განყოფილების ხელში იყო წიგნის მაღაზია. ამ მაღაზიიდან 3 რაიონში განყოფილება უფასოდ [illegible] ნივთებს სკოლებში და ყველა საჭირო დაწესებულებებს; ხოლო ახალ ეკონომიური პოლიტიკის დამყარების შემდეგ, მაღაზია სკოლებს [illegible] ფასებში აწვდის სახელმძღვანელოებს და სხვა საჭირო ნივთებს.

მიმდინარე წლის განმავლობაში მაზრის თანხებიდან [illegible] განათლების საჭიროებისთვის 32 მილიონი მანეთი. ამ ფულით იქნა შეძენილი, სხვათა შორის, [illegible] 2 ცხენი [illegible].

განყოფილების მიზანი 1923 წლის [illegible]: 1) დაწყებული მუშაობის გაგრძელება; 2) ზაფხულში მასწავლებლებისათვის კურსების გახსნა; 3) [illegible] სკოლებისათვის, რომ [illegible] საკუთარი შენობა [illegible] და სხვა.

განყოფილების გამგის მოადგილე [illegible]

ფოთი

22 იანვარს ბრწყინვალედ ჩატარებულ იქნა სამგლოვიარო დღე 905 წ. პეტროგრადში [illegible] ველზე დაცემულ და 1919 წ. გერმანიაში ნოსკე-შეიდემანის წყალობით ვერაგულათ მოკლულ გერმანიის რევოლუციონური პროლეტარიატის ბელადების კ. ლიბკნეხტის და რ. ლუქსენბურგის ხსოვნის აღსანიშნავათ. სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობას ღებულობდა პარტორგანიზაციები, პროფესიონალური კავშირები, ჩონი, საბჭოთა მილიცია, სამხედრო ნაწილები და უპარტიო მასა. პროცესია დაიძრა პარტიული კომიტეტიდან [illegible]. დროშები შავი ლენტებით იყო შემოსილი. პროცესიის მსვლელობა გაგრძელდა 4 საათს. გზა და გზა მუსიკა ასრულებდა სამგლოვიარო ჰიმნს და იმართებოდა მიტინგები, სადაც გამოდიოდნენ ორატორები და აღნიშნავდნენ რევოლუციაში დაღუპულ გმირების ხსოვნას. საათის 4-ზე თეატრ „[illegible]“-ში გაიმართა მასიური მიტინგი, სადაც ილაპარაკეს სხვადასხვა ორატორებმა. [illegible] ორატორების ვრცელი მოხსენების შემდეგ, მოსმენილი იქნა მოგონებანი რევოლუციონერ მოძრაობის წარსულ ისტორიიდან. მომხსენებელმა გიგო ლომთათიძემ ვრცლათ შეეხო 905 წლის მოძრაობას და ალიხანოვ-[illegible] სისხლიან რეაქციონურ პერიოდებს, [illegible] მან გააცნო საზოგადოებას ნაკირალის, ხიდის თავის, სამეგრელოს, ბათუმის და ნოვოროსის ტრაგიკული დღეები, რომელიც დატრიალდა 1905 წელს. ამ გიგოს მოგონებებმა რევოლუციონურ მოძრაობის შესახებ დამსწრე ხალხზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. ილაპარაკა აგრეთვე რევოლუციაში გამობრძმედილმა ქალმა ამხ. ფირცხალავამ და ბოლოს კი [illegible] კრების მიერ გამოტანილ იქნა რეზოლუცია: „ჩვენ ქ. ფოთის მშრომელი ხალხი და მოქალაქენი აღნიშნავთ რა დიდის მწუხარებით 1905 წ. 9 იანვარს პეტროგრადში სისხლიანი მეფის ჟანდარმების და გენერალ ტრეპოვის მეთაურობით [illegible] ველზე დაცემულ ამხანაგების ხსოვნას, წყევლა და კრულვას უგზავნით მათ და ფიცს ვდებთ, რომ დაღუპულ ამხანაგების მიერ დაწყებულ საქმეს სრულ გამარჯვებამდე მივიყვანთ“. კრება დაიხურა მუსიკის სამგლოვიარო ჰიმნით.

შალვ. [illegible]

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ ეს წერილი:

დიდი ხნის შეგნებული დაკვირვების შემდეგ ღრმად დავრწმუნდი, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტია არის ერთად ერთი [illegible] პროლეტარიატის და გლეხთა განთავისუფლებისა კაპიტალიზმისაგან. მე დღემდის უპარტიოს, მაქვს სურვილი შევიდე კომუნისტურ პარტიაში, რათა აშკარად ვიმუშავო მუშათა და გლეხთა საკეთილდღეოდ და მთელს მსოფლიოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. დღეიდან ჩემს თავს [illegible] ხელს კომუნისტის ს.

ნ. [illegible]

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 2.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოში

1923 წ. იანვრის 18-ს.

შრომის ბირჟაში საქმის წარმოების და მუშაობის წესების შესახებ.

უმუშევრობასთან რაციონალურად საბრძოლველად, შესაძლებელ ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად და უწესოდ მუშა-ხელის აღრიცხვისა და სამუშაოზე გაგზავნის მოსასპობლად და აგრეთვე მუშა-ხელის მოთხოვნილების წესიერად დაკმაყოფილებისათვის, ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის საქართველოში რწმუნებული ამ თ წინადადებას იძლევა ბირჟათა გამგეებისადმი, სექციებისადმი და ტექნიკურ მომუშავეთადმი, რათა სისწორით და აუცილებლივ თავის საპროფესიო მუშაობაში იხელმძღვანელონ შემდეგი წესები.

1. უმუშევართა რეგისტრაციის სფეროში.

პარაგ. 1. შრომის ბირჟა აწარმოებს უმუშევართა რეგისტრაციას, პროფესიონალურ სექციათა მიხედვით და ყველა იმ პირისას, ვინც ეძიებს სამუშაოს.

რეგისტრაციის დროს ის პირი, რომელიც ეძიებს სამუშაოს, ვალდებულია წარადგინოს საბუთები წინანდელ სამ შაოისა, თანამდებობისა, სტაჟისა და კვალიფიკაციის შესახებ.

შენიშვნა: ა) კავშირთა წევრნი, გარდა ხსენებულ დოკუმენტებისა, რეგისტრაციის დროს არდგენენ აგრეთვე კავშირის საწევრო წიგნაკებს.

ბ) სამსახურიდან განთავისუფლებული წითელი არმიელნი—მოწმობა სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. უკანასკნელს მხოლოდ ორი თვის ხანდაზმულობა აქვს.

პარაგ. 2. უმუშევართა წინასწარ დაკითხვას, დოკუმენტების განხილვას, სტაჟისა და კვალიფიკაციის გამორკვევას ახდენს სათანადო სექციის გამგე, რის შემდეგაც რეგისტრატორი ავსებს უმუშევრის საპროფესიო ბარათს, საანბანოს და უმუშევრისავე ბილეთს, რაიც დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს მას, სექციის გამგის მიერ ხელმოწერილი.

პარაგ. 3. უკეთუ არ მოიპოვება საკმარისი, საბუთი სტაჟის ან კვალიფიკაციის გამოსარკვევად, ან დაიბადება რაიმე ეჭვი, უმუშევარი გადაეცემა სათანადო სექციის საექსპერტო კომისიას. კვალიფიკაციის გამოსარკვევად.

შენიშვნა: უკვალიფიკაციო შრომის პირნი (შავი-მუშები და სხვა) იწერებიან სიტყვიერი განცხადების მიხედვით და საექსპერტო კომისიის დაუკითხავად.

პარაგ. 4. დღის განმავლობაში შევსებული უმუშევართა საპროფესიო და საანბანო ბარათები, უმუშევართა პროფესიის მიხედვით აღრიცხვის ყოველ-დღიურ ცნობების შედგენის შემდეგ, რეგისტრატორი ანაწილებს ასე. საპროფესიო ბარათები ჩაიდებიან ყუთებში, ცალ-ცალკე, პროფესიონ. სექციათა და ნომრების თანდათანობითი გადიდების მიხედვით, საანბანო—კი—მხოლოდ სექციის საანბანოში, პროფესიის მიუხედავად.

პარაგ. 5. სექციათა გამგეთ ევალებათ დახსომება რეგისტრაციაში გატარებულ მაღალ კვალიფიკაციის უმუშევართა, შემოწმება რეგისტრატორის მიერ უმუშევართა წესიერ ჩაწერისა, და შევსებულ ბარათთა წესიერი განაწილება ყუთებში და ყოველდღიური მოხსენება ბირჟის გამგეს უმუშევართა შემადგენლობის და ახლად ჩაწერილთა რაოდენობის შესახებ.

2. „გამოცხადების“ სფეროში

პარაგ. 6. ის უმუშევარნი, რომელთაც მიიღეს ბარათი, ვალდებული არიან, არა უმეტეს კვირაში ერთხელ, დაწესებულ დღეებში, გამოცხადნენ აღნიშვნისათვის, ამასთანავე სექციათ ევალებათ დაანაწილონ გამოცხადებანი ჯგუფებად და დღეებად, ბირჟის გამგის თანხმობით.

პარაგ. 7. გამოცხადებულთა უმუშევართა ბილეთებს დაესმის საგანგებო შტამპი. რეგისტრაციის სასწრაფოდ წარმოებისა და საპროფესიო ბარათებზე გადატანისათვის, რეგისტრატორი აწარმოებს ყოველდღიურ ფურცლებს, სადაც აღნიშნავს პროფესიათა მიხედვით უმუშევართა ბილეთების ნომრებს და სამუშაო დღის გათავებისას—უმუშევართა აღრიცხვის დასასრულს, გადააქვს გამოცხადების აღნიშვნა უმუშევართა საპროფესიო ბარათებზე.

პარაგ. 8. რეგისტრატორი ვალდებულია სისტემატიურად გადასინჯოს ხოლმე საპროფესიო ბარათები და თუ ნახა, რომ ესა თუ ის პირი არ გამოცხადდა განსაზღვრულ დროს, ამოიღოს ბარათი ყუთიდან და გადიტანოს საარქივო ყუთში, რითაც უმუშევარი იხსნება აღრიცხვიდან.

შენიშვნა: ა) თუ აღრიცხვიდან მოხსნილი უმუშევარი გამოცხადდა ვადის გასვლის შემდეგ და წარმოადგინა საპატიო მიზეზი გამოუცხადებლობისა, იგი აღდგენილ იქნება რიგში, სექციის გამგის თანხმობით, მქონე ნომრის დაცვით ან-და დაკლებით, ხოლო თუ უმუშევარი ერთ თვეზე მეტი არ გამოცხადებულა, მისი აღდგენის უფლება ენიჭება მხოლოდ შრომის ბირჟის გამგეს.

ბ) სექციის გამგეს ენიჭება უფლება განსაკუთრებულ შემთხვევაში სრულიად განთავისუფლოს უმუშევარი ბილეთზე სათანადო წარწერით, გამოცხადებისაგან განსაზღვრულ დროით.

3. „სამუშაოზე მოთხოვნილების“ სფეროში.

პარაგ. 9. წარმოებანი, დაწესებულებანი და კერძო პირნი გზავნიან შრომის ბირჟაში მოთხოვნილებებს სამუშაოზედ და აღნიშნავენ, ა) სამუშაოს ხასიათს (ან თანამდებობას), ბ) დაქირავების ვადას (განსაზღვრულს ან განუსაზღვრელს) და ნიშანდობრივ საქმეს, გ) დაქირავების პირობას (სამუშაო ხელფასს). ეს ცნობები შეიტანება საგანგებო ბარათში, რომელთაც აქვთ თავიანთი ნუმერაცია.

შენიშვნა: დაქირავების პირობების უსწორო ცნობისათვის—დამქირავებელი აგებს პასუხს სისხლის სამართლის წინაშე.

პარაგ. 10. შემოსულ მოთხოვნილებათა დაესმით თარიღი (თვე, რიცხვი და საათი) და დაუყონებლივ გადაეცემა შრომის ბირჟის გამგეს, რომელიც სექციების მიხედვით ანაწილებს მათ და აკმაყოფილებს.

პარაგრ. 11. მოთხოვნილებანი აუცილებლივ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული მიღებულ საათიდან სამი დღის განმავლობაში, უკეთუ რაიმე მიზეზების გამო, მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელია, მაშინ, მიზეზი დაუკმაყოფილებლობისა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შრომის ბირჟის გამგის საშუალებით დამქირავებელს.

პარაგრ. 12. მოთხოვნილების ბარათზე უნდა აღინიშნოს აღსრულება, აღნუსხვით თუ რა №-ით იქნა გაგზავნილი უმუშევარი. დაუკმაყოფილებლობის დროს-კი—მიზეზი, და რაიც შრომის ბირჟის გამგის მიერ უნდა იქნეს ხელმოწერილი.

4. „სამუშაოზე გაგზავნის“ სფეროში.

პარაგრ. 13. შიიღებს თუ არა მოთხოვნილებას სამუშაო ძალაზე, სექციის გამგე ვალდებულია მყისვე გამოაკრას განცხადება, სათანადო დაფაზე, რომელიც მოთავსებულ უნდა იქნეს შრომის ბირჟის შენობაში, ყველა უმუშევართა საცნობლად, მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ (ე. ი. სათანადო პროფესიის პირის გაგზავნის შემდეგ) განცხადება მოიხსნას.

პარაგრ. 14. სექციის გამგე, თითონ პირადათ არჩევს სამუშაოზე გასაგზავნ უმუშევართ და ხელმძღვანელობს შემდეგით. ა) არჩევს ყუთიდან იმ უმუშევართა ბარათებს, რომელნიც მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, აწესებს გაგზავნის რიგს და უკანასკნელიდან, თანაბარ პირობათა გამო, უპირატესობას ანიჭებს სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულ წითელ არმიელს, შემდეგ—კავშირთა წევრებს, და თუ ასეთნი არ აღმოჩნდებიან—ყველა უმუშევართ, რომელნიც კი აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას.

შენიშვნა. ა) მოთხოვნილებათა პირობების მიხედვით, სექციის გამგე ვალდებულია დასახოს მიზნად მოთხოვნილების სათანადო დაკმაყოფილება და არა ყველა უმუშევართა გაგზავნა, რომელთა რიგიც აღწევს ან-და სარგებლობენ უპირატესობით.

უკეთუ აღმოჩნდება, რომ მორიგე უმუშევართა შორის კავშირის წევრნი ან-და სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული წითელი არმიელნი ნაკლებად აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას, ვიდრე ის უმუშევარნი, რომელნიც არც კავშირის წევრნი არიან და არც სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული წითელი არმიელი—მაშინ სამუშაოზე გაიგზავნებიან ეს უკანასკნელნი.

ბ) სამუშაოზე გასაგზავნ უმუშევართ, უკეთუ შერჩევის დროს არ იქნებიან შრომის ბირჟის შენობაში, ეუწყებათ თავიანთ საბლში.

პარაგრ. 15. იმ უმუშევართ, რომელნიც იგზ ვნებიან სამუშაოთ, ჩამოერთვათ მათი ბილეთები, ყუთიდან ამოღებულ იქნეს მათი საპროფესიო ბარათები და მოთხოვნილების და საპროფესიო ბარათების მიხედვით, შედგენილ იქნეს გასაგზავნელი ფურცელი, შრომის ბირჟის და სათანადო სექციის გამგეთა ხელმოწერით.

პარაგრ. 16. გაგზავნის შესახებ პასუხს, (ე. ი. ცნობას, მიღებულ იქნა გაგზავნილი უმუშევარი საბოლოოდ სამუშაოზე თუ არა) დამქირავებელი უბრუნებს შრომის ბირჟას გამოსაცდელ ვადის შემდეგ, მუშათათვის—6 დღის, მოსამსახურეთათვის-კი—2 კვირის შემდეგ, რასაც უნდა მოჰყვეს საპროფესიო ბარათების საბოლოოდ გადადება საარქივო ყუთში.

პარაგრ. 17. უკეთუ უმუშევარი დაბრუნებულ იქნა სამუშაოსათვის გამოუსადეგებლობის, ან-და შეუსაბამობის გამო, დამქირავებელი ვალდებულია, გამოაყოლოს თან გამოცდის შესახებ ადგილობრივ შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის ცნობა, რის გამოც იგი კვლავ გადაეცემა სათანადო სექციის საექსპერტო კომისიას შესამოწმებლად და უფრო სწორ კვალიფიკაციისთვის.

დამქირავებელი ვალდებულია, მისცეს გაგზავნილ უმუშევარს გამოსაცდელ ვადის სამუშაო ხელფასი იმ თანამდებობის მიხედვით, რაზედაც იყო გაგზავნილი, თუნდაც იგი არ შეეფერებოდეს ამ თანამდებობას.

პარაგრ. 18. უკეთუ დამქირავებელი უარს იტყვის უმუშევრის აყვანაზე, სექციის გამგე ვალდებულია შეადგინოს ოქმი, დაწესებულების პასუხ-სმგებელ პირის ან-და მეპატრონის გვარის, სახელის, და მამის სახელის ჩაწერით და მიუღებლობის მიზეზის აღნიშვნით და მოთხოვნილების და გაგზავნის ფურცელთან ერთად, შრომის ბირჟის გამგის საშუალებით—გადუგზავნოს შრომის სასამართლოს სისხლის სამართლის კამერას, პასუხისგებაში მისაცემათ. (შრომის სასამართლოს დაარსებამდე-კი—შრომის დაცვის განყოფილებას).

5. „შრომის ბირჟის [illegible] დაქირავების კონტროლის სფეროში.

პარაგრ. 19. ყველა წარმოება-დაწესებულებებში, როგორც სახელმწიფო, ისე კერძოში, შრომის ბირჟის საშუალებით დაქირავებულთა კონტროლს აწარმოებენ შრომის ინსპექტორები, ისინი ამოწმებენ გასაგზავნ ფურცლის მიხედვით იმას, შეეფერება თუ არა დაკავებული თანამდებობა გასაგზავნ ბარათში აღნიშნულ თანამდებობას.

პარაგრ. 20. კონტროლის ნაყოფიერებისათვის დაწესებულ იქნეს ცნობების მიწოდება უმუშევართა მიერ, საგანგებოდ შევსებულ ბლანკებზე, რომელიც უმუშევ-რის ხელის მოწერით და ბილეთის ნომრის აღნიშვნით, უნდა ჩაიგდოს ყუთში. ეს ცნობები უნდა გადაეცეს შრომის ინსპექტორს.

პარაგრ. 21. შრომის ბირჟა მიიღებს თუ არა შრომის ინსპექტორის ცნობებს, უმუშევართა უკანონოდ მ ღების შესახებ, ვალდებულია დაუყონებლივ გაუგზავნოს სათანადო კვალიფიკაციის მორიგი უმუშევარი, უკანონოდ, შრომის ბირჟის გარეშე, მიღებულის ალაგზე, ხოლო თუ უკანასკნელი არ იქნება მიღებული, იხელმძღვანელოს ამა ბრძანების მე-18-ე §-ის მიხედვით.

პარაგრ. 22 ამა ბრძანების მიხედვით, შრომის ბირჟაში მუშაობის დაყენების პასუხისმგებლობა სავსებით ეკისრება შრომის ბირჟის გამგეს, ხოლო, ის ნაწილი, რაიც ეხება სექციათა გამგეთ და ტექნიკურ მომუშავეთ—ამა უკანასკნელთ.

პარაგრ. 23. ამა ბრძანების შეუსრულებლობისათვის, მის გადახვევისათვის ანდა სამუშაოზე გაგზავნის უწესო რეგისტრაციისათვის—დამნაშავენი მიეცემიან პასუხისგებაში, როგორც თანამდებობაზედ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებისათვის.

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ა. იაშვილი.

ცენტრალურ ბირჟის გამგე ვ. ბერბერაშვილი.

საერთო საორგანიზაციო განყოფილების გამგე ა. თურქია.

დადგენილება № 5

ა/კ. შრ. სახ. კომისარიატის რწმუნებულის საქართველოში.

27 იანვარი 1923 წელი.

ქალ. ტფილისში არსებული „დამოუკიდებელ შრომის პირთა კავშირი“ გადაკეთებულ იქმნეს—„დამოუკიდებელ შრომის პირთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათ“.

ყველა მანდატები და მიმართვები გაცემული „დამოუკიდებელ შრომის პირთა კავშირის“ სახელით, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ა/კ. შრ. სახ. კომ. რწმუნებული საქართველოში ა. იაშვილი.

საერთო საორგანიზ. განყოფილების გამგე ა. თურქია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

მარქსისტ. წრეების მეცადინეობის ნუსხა 28 იანვრიდან 4 თებერვლამდე.

— სამშაბათს 30 იანვარს და შაბათს 3 თებერვალს საღამოს 5 საათზე, გაიმართება განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების ტფილისის სამმართველოსთან არსებული წრის კრება საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის შენობაში ხელმძღ. ამხ. გალკინი.

— შაბათს 3 თებერვალს საღამოს 6 საათზე ცენტრალურ პარტსკოლის შენობაში გაიმართება სტუდენტთა წრის კრება ხელმძღვანელი—ამხ. ნოვიკოვი.

საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპ. განყოფილება.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი აცხადებს ტფილისის ორგანიზაციის წევრთა საყურადღებოთ, რომ პარტიული ბილეთები უნდა მიიღონ იმ რაიონებში, სადაც გაიარეს წმენდა.

ბილეთების გაცემა დაიწყება 29 იანვრიდან

1 რაიკომში 29 იანვრიდან 1 თებერვლამდე
3 „ 30 „ 2 „
2 „ 1 თებერ. 3 „
4 „ 2 — 5 „

— ოთხშაბათს, 31 იანვარს, საღამოს 7 საათზე შკოლის გარეშე სწავლების სახლში გაიმართება სკოლის გარეშე სწავლების მუშაკთა წრის კრება. ხელმძღვანელი ამხ. პენიაკოვი.

— ოთხშაბათს 31 იანვარს და შაბათს 3 თებერვალს, საღამოს 6 საათზე გაიმართება ბეჭვდითი საქმის მუშაკთა წრის კრება. ხელმძღვანელი—ამხ. მედვედიევი.

პროფესიონალური

— სამშაბათს, 31 იანვარს, საღამოს სრულ 6 საათზე ამხ. ლენინის სახელობის პოლიტექნიკ. ინსტიტუტის შენობაში (ახალი თეატრი) ფიზიკურ აუდიტორიაში დანიშნულია განათლების მუშაკთა კავშირის 2-ე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. სრულ. საქ. განათლების მუშაკთა მეორე ყრილობის დელეგატების ასარჩევად.

ბეჭვდითი საქმის მუშაკთა სექციის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა პროფდისციპლინის ძალით.

კრებაზე გამოუცხადებულთა რეგისტრაცია ევალებათ რწმუნებულებს, რომელთაც აგრეთვე ევალებათ მოახდინონ იმ პირთა რეგისტრაციაც, რომელნიც კრებაზე არ გამოცხადდენ.

საქ. განათლების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე—შავერდოვი.

ბეჭდ. საქმის მუშაკთა სექციის პასუხისმგებელი მდივანი—გიულუმიანი.

— სამშაბათს, 30 იანვარს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში (შესავალი რუსთაველის პროსპექტიდან) გაიმართება კავშირთა ცენტრალურ გამგეობათა ყველა წევრების სხდომა შრომის დაცვის განყოფილებათა გამგების და შრომის ინსპექტორთა თანადასწრებით

დღის წესრიგშია, ამხ. ბახუტოვის საინსტრუქტორო ხასიათის მოხსენება „შრომის კანონების ახალი კოდექსი.“

საკითხის მნიშვნელოვანობის გამო ყველა აღნიშნულ პირთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი—გუგუშვილი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ელენე, [illegible] ლენინ, საშა, ნინო, ლიზა, ივანე და იოსები, რძალი და სიძე [illegible] დავით ქუთათელაძე, მირონ რუხაძე, [illegible] მექი გრიგოლია [illegible] ლი-შვილები თინა, კოლია, გოგი [illegible] ნათესავთ და მეგობართ [illegible] ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას
გიგო ივანეს ძე ქავჭანიძის
გამოსვენება და დაკრძალვა 30 იანვარს ქ. ხ. ნ. [illegible]
(72—1—1)

რუსთაველის თეატრი
დღეს, 30 იანვარს
მზის დაბნელება საქართველოში
დადგმა კ. მარჯანიშვილისა
დასაწყისი სრულ 8 საათზე. (კრ. 115—1—1)

საქართველოს დამშეულთა დამხმარე
მთავარი
კომიტეტი
აცხადებს საბჭოთა დაწესებულებების და მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ თანახმად კომიტეტის დადგენილებისა, შეწყვეტილია პერსონალური [illegible] დამშეულ და ზარალნახულ მაზრების და [illegible] და ყოველგვარი შუამდგომლობანი და თხოვნები ამის თაობაზე კომიტეტის მიერ განხილული არ იქნება.
მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე—მ. ორახელაშვილი.

ვინაიდან წლიური საზოგადო კრება არ შესდგა წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო
მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი“-ს
გამგეობა
აცხადებს წევრთა საყურადღებოდ, რომ თანახმად წესდების მე-24 მუხლისა, რწმუნებულთა მეორე [illegible] კრება [illegible] სოფ. ქვიშხეთ-[illegible] ში (ქიზიყში) ამა წლის 7 თებერვალს (ძველი სტილით 25 იანვარს), რომელიც ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.
დღიური წესრიგი იგივეა, როგორც პირველი კრებისათვის იყო გამოცხადებული.
თითო რწმუნებული კრებაზე და [illegible] (3 დ) 7 წევრი [illegible] და მას ჰქონდეს [illegible].
(73—1—1) ამხ. „მწყემსი“-ს გამგეობა.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დაარსებული
მიხეილ გედევანიშვილის სახელობით
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდით [illegible] მოხმარებას საჭიროებენ. ექიმობს სიფილისის ნერვიულ გართულებას.
საავადმყოფოს სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, კოლხიდის ქ. № 20 (733—25—[illegible])

ამხ. „გზის“ მიერ გაცემული რწმუნებულობა სტეფანე [illegible] ძე ჯიბლაძის სახელზე [illegible] № 304—12 იანვრიდან გაუქმებულია.
მშრომ. ამხ. „გზის“ გამგეობის თავმჯდომარე ს. შ[illegible]
(74—1—1)

საქართველოს სასურსათო სახალხო
კომისარიატი
უნივერსალური მაღაზია № 1.
([illegible] ჟირარდის ქუჩ. 8 [illegible])
მანუფაქტურა, შინის და ქალის ჭურჭელი და ფართო მოხმარების სხვა საგნები.
მაღაზია № 2.
პლეხანოვის პროსპ. სახალხო კლუბის პირდაპირ.
ყველაფერი სასოფლო მეურნეობისათვის
სხვა და სხვა მიწის მუშაობის იარაღები
სასურსათო მაღაზია № 3.
[illegible] მოედანი, 4 (რიგი).
თევზეულობის მაღაზია
პუშკინის ქ. ქუჩ. [illegible].
ყოველ დღე მოდის თევზეულობის და ხიზილალის დიდი პარტიები
ფასები ბაზრის ფასებზე ნაკლებია
კომისიური განყოფილება
[illegible] ქ. № 2.
ყიდულობს: აბრეშუმს, ფრიზონს, აბრეშუმის პარკს და სხვა ნედლ მასალას, სასურსათო პროდუქტებს და სხვა ნაღდ ანგარიშზე საქონლის მანათის [illegible]. (კრ. 116—2—1)

[illegible]